[პ]როლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, კრუზენ. № 4. მე-3 სართული

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14--76. მდივნის 10--58

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 230.000 მ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1200 მ. 1922 წ. ნიშნებით განცხადება—30 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 1 მილ. მ.

№ 46 ოთხშაბათი, 28 თებერვალი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10 000 მან. № 46

დღიური

ახლო აღმოსავლეთში: ამხ. აბილოვის გარდაცვალება, საზავო ხელშეკრულების განხილვა, ეკონომიური კონგრესის დადგენილებები.

რურის ოკუპაცია: მონტაბაუერის დაკავება, რეიხსტაგის წარმომადგენელთა დაპატიმრება, სამხედრო სასამართლო, ფერადი ჯარები პოლიციის სამსახურში, პუანკარეს ახალი მოთხოვნილებები, ფინანსიური ბლოკადა, რეკვიზიციები, ნეიტრალურ ზონაში შეჭრა.

იტალიაში: სუსაკის ევაკუაცია, აჯანყებულთა დახოცვა.

12 მარტისთვის მოწვეულია საქართველოს კომპარტიის

მე-2-ე ყრილობა

დღის წესრიგი:

1. ცკას ანგარიში.
2. ცენტრ. საკონტროლო კომისიის და სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. საქართველოს ახალგაზრდობის კომკავშირის ცკას ანგარიში.
4. საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს ბიუროს ფრაქციის მოხსენება პროფკავშირებში მუშაობის შესახებ.
5. ეროვნული მომენტი პარტიულ და საბჭოთა აღმშენებლობაში.
6. მიწის რეფორმის შედეგები.
7. სამეურნეო აღმშენებლობის ამოცანები საქართველოში.
8. არჩევნები.

წარმომადგენლობის ნორმა: საქართველოს კომპარტიის 100 ნამდვილ წევრისაგან—1 დელეგატი.

წითელი არმია გზავნის დელეგატებს სამხედრო პარტიულ კონფერენციიდან საერთო წესით.

პარტიული ყრილობის გახსნის ადგილის შესახებ გამოცხადებული იქნება დამატებით.

საქართველოს კომპარტიის ცკას მდივანი მიხ. კახიანი.

საქართველოს კ. პ. თბილისის კომიტეტი

წინადადებას აძლევს იაჩეიკებს

ერთიან პარტიულ დღეს

დასვან დღის წესრიგში შემდეგი საკითხები:

1. ქალაქ თბილისის და მაზრის კომუნისტური ორგანიზაციების კონფერენციის შედეგები.
2. მუშა ქალების საერთაშორისო დღე.

ტ. კ. მდივანი მ. კახიანი.

თბილისის ორგანიზაციის მე-4 რაიკომი

აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 28 თებერვალს, ქალაქის აღმასკომის დარბაზში შესდგება კომიაჩეიკების ყველა მდივნების

თათბირი

პარტდისციპლინის წესით ყველა მდივნების დასწრება სავალდებულოა.

პასუხისმგებელი მდივანი **რუბენი.**

თბილისის აღმასკომის სამდივნო

სთხოვს საბჭოს და აღმასკომის ყველა წევრებს

შემოიარონ სამდივნოში

საანკეტო ფურცლების

შესავსებათ და საწევრო წიგნაკების მისაღებათ საღამოს 5—8 საათამდე შემდეგი რიცხვებში:

1-ლი რაიონის დეპუტატებმა	27	და	28	თებერვალს
2-რე „ „	1	და	2	მარტს
3-ე „ „	3	და	5	„
4-ე „ „	6	და	7	„
სამხედრო დეპუტატებმა	8	და	9	„

მაზრის წარმომადგენლებისათვის ყოველ დღე რიგს გარეშე.

კრ. 217—3—3

კიდევ ანტისარწმუნოებრივი კამპანიის შესახებ

ჩვენ ამას წინედ ვსწერდით ანტისარწმუნოებრივი კამპანიის შესახებ. საკითხი ღირსია განსაკუთრებული ყურადღების, და ჩვენ არა ერთხელ მოგვეცემა შემთხვევა შევეხოთ მას.

ანტი - რელიგიურმა მოძრაობამ ამ ბოლო დროს ფართე ხასიათი მიიღო ჩვენში. ყველაზე უფრო აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს მოძრაობა გამოწვეულია არა ხელოვნურად, არა ვინმეს კარნახით, არამედ ის სტიქიურად გამომდინარეობს თვით ხალხიდან, მშრომელ მასსიდან, რომელსაც საუკუნეთა განმავლობაში აბნელებდნენ და ასულელებდნენ სარწმუნოებრივი აბდა-უბდით წინედ არსებული რეჟიმები და სამღვდელოება.

ამას წინედ მოხდა „წმინდანების“ დავით და კონსტანტინეს „უხრწნელ ნეშთების“ გახსნა, ნეშთების, რომლებსაც შავი ბერები ამდენხანს იყენებდნენ ხალხის გასაცარცვავად და სულიერ დამონებისათვის. თუ რა ინტერესი და ცნობისმოყვარეობა გამოიწვია ამ ამბავმა, სჩანს იქიდანაც, რომ ქუთაისის ახლო-მახლო რაიონებიდან ამ პროცესს დაესწრო ზღვა ხალხი, ხოლო უფრო შორეულ კუთხეებიდან, მთელი დასავლეთ საქართველოს პროვინციებიდან გამოგზავნილი საგანგებო რწმუნებულები. გლეხები გაიძახოდნენ, რომ თუ წმინდანებმა ეხლა არ მოახდინეს რაიმე სასწაული, სიცრუე ყოფილა ყველაფერიო. და ეს სიცრუე მართლაც სავსებით გამოაშკარავდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ხალხმა „უხრწნელი ნეშთების“ ნაცვლად დაინახა გამტვერიანებული და დაობებულ-[illegible] ძვლები. ხალხს თვალები აეხილა, ის უშუალოდ დარწმუნდა, თუ რა სისულელეს შეიცავს რელიგია, თუ როგორ ატყუებდნენ მას ბერები.

სხვა ადგილებიდანაც მოგვდის ცნობები, რომლებიდან სჩანს, რომ ბევრ ალაგას იმართება საჯარო კრებები-მიტინგები, სადაც კითდება მოხსენებები სარწმუნოებისა და სამღვდელოებაზე; თვით გლეხები გამოდიან ბრალმდებლებად მათ წინააღმდეგ, აღნიშნავენ მათ „დამსახურებას“ ხალხის დამონება-დაბნელების საქმეში და აცხადებენ, რომ დადგა დრო, როცა საბოლოოდ უნდა იქნეს მოსპობილი მათი გავლენა, როცა ხალხი უნდა ეზიაროს ჭეშმარიტ, მეცნიერულ ცოდნას.

[illegible] რომ დადგა ასეთი დრო, ამ დრო საბჭოთა ხელისუფლების, მშრომელთა დიქტატურის. აბა წარსულში, ძველი რეჟიმის დროს ხომ წარმოუდგენელი იყო ის, რაც ეხლა ხდება. მაშინ სიმართლე და ჭეშმარიტება დევნას განიცდიდა. სარწმუნოების, ეკლესიის, სკოლის და სხვა. უმრავი საშუალებით გაბატონებული კლასები ცდილობდნენ მასსების მატერიალურ და სულიერ დამონებას.

დღეს კი პირობები არსებითად შეიცვალა. საბჭოთა ხელისუფლებამ ხალხს საშუალება მისცა დაეუფლოს მეცნიერულ ცოდნას, ხალხი გათვითცნობიერების გზაზე შესდგა და ის მიადგა მანამდე სიბნელით და საიდუმლოებით მოცულ რელიგიის კარებს და ის საგრძნობლად შეანგრია.

ხალხის გონებრივი გამოფხიზლების უდიდესი პროცესია დაწყებული. ჩვენ საქმე გვაქვს სარწმუნოებრივი მსოფლ-მხედველობის და მისი გამავრცელებელ სამღვდელოების ალსასრულის დასაწყისთან.

მუშაობა ამ მიმართულებით უნდა გაღრმავდეს და გაფართოვდეს.

ამასთან ჩვენ ხაზს ვუსვამთ, რომ ამ შემთხვევაში ადგილი არ ექნება არავითარ იძულებას, არავითარ რეპრესიებს ხუცების წინააღმდეგ, თუ კი ისინი ამავე დროს არ ეწევიან აშკარა თუ ფარულ კონტრ-რევოლიუციონურ და ანტისაბჭოთა მუშაობას.

ჩვენი მიზანია მხოლოდ დავეხმაროთ ხალხს იმ საკითხების გარკვევაში, რომელნიც დაკავშირებულია რელიგიასა და ეკლესიასთან. ჩვენი მუშაობის მეთოდია მხოლოდ იდეიურ-პოლიტიკური კამპანიის წარმოება.

ეჭვი არ არის, რომ ჩვენი მტრები, მენშევიკები და ყველა კონტრ-რევოლიციონერები შეეცდებიან დაწყებული ანტირელიგიური მოძრაობა გამოიყენონ ხალხის ჩამორჩენილ ნაწილის ასამხედრებლად საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მათთვის ხომ ყველა საშუალება მისაღებია ამ მიზნისათვის, ხალხის რელიგიური ფანატიზმის გაღვივებაც.

მაგრამ თვით მასსაა ჩაბმული ამ მოძრაობაში. ის თვით მოწყურებულია თავი დააღწიოს სულიერ სიბნელეს, რომელსაც ხელს უწყობდა სარწმუნოება და სამღვდელოება. ჩვენ მთელ შეგნებულ ხალხთან ერთად ვემხრობით მათი პროვოკაციის კონტრ-რევოლიუციონურ სარჩულს. ჩვენ ბოლომდე მივიყვანთ იდეურ ბრძოლას სარწმუნოებისა და სამღვდელოების წინააღმდეგ და ხალხს შთაუნერგავთ მეცნიერულ შეხედულებებს ცხოვრებასა და ბუნებაზე

მენშევიზმის ბელადი მენშევიკების წინააღმდეგ

(ა. მარტინოვის გამოსვლის გამო).

ჩვენ უკვე გვქონდა მოყვანილი მენშევიზმის ყოფილი ბელადის, ა. მარტინოვის, წერილიდან რამოდენიმე ადგილი, დამახასიათებელი მისი დღევანდელი შეხედულებისათვის რევოლიუციის მთელ რიგ ძირითად კითხვებზე.

მოგვყავს დამატებით მისი აზრი ახალი ეკ. პოლიტიკის, წითელი არმიისა და სხ. შესახებ.

ავტორი სწერს:

„მე ვნახე, როგორ ცდილობდა კონტრ-რევოლიუცია შიმშილით ამოეწყვიტა საბჭოთა რუსეთი, როგორ მოსწყვიტა მან საბჭოთა რუსეთი სურსათ-სანოვაგის უმთავრეს წყაროებს უკრაინას, დონს, ყუბანს, ვოლგის განაპირა ადგილებსა და ციმბირს. მე ვხედავდი, რომ პეტროგრადისა და მოსკოვის პროლეტარიატს ცენტრალურ რაიონების გლეხურ სიღატაკეში მშიერი სიკვდილი უქადიდა. მეორეს მხრით, მე ვხედავდი, თუ როგორ აიძულებდა საბჭოთა რუსეთს ამ აუტანელ პირობებში პურისათვის ბრძოლა, პროლეტარიატის თვითარსებობის დასაცავათ, ესარგებლა უკიდურესი ზომებით, როგორიცაა კონფისკაცია მაღაზიებში მყოფ საქონლის ბარგისა, რათა გადაეტანა უკანასკნელი სოფელში პურზე გადასანაცვლათ, კლასობრივ „პაიოკის“ დაწესება, სასურსათო რაზმების ორგანიზაცია, ღარიბ გლეხობის კომიტეტების ორგანიზაცია მუშებთან ერთათ სოფლის მსხვილ ჯიბიან გლეხების წინააღმდეგ პურისათვის საბრძოლველად. უკვე ეს პირველი, გარემოებებით გამოწვეული, ზომები უკარნახებდა საბჭოთა რუსეთს დამდგარიყო სურსათის განაწილებისა და მთელი ვაჭრობის ნაციონალიზაციის გზაზე, რომლებიც სასყიდაო აპარატის მოუწესრიგებლობის დროს წარმოადგენდა ერთად ერთ საიმედო საშვალებას სოფლიდან ზედმეტი სურსათ-სანოვაგის გამოსაზიდავად და მისი მიზანშეწონილად გასანაწილებლად. ამნაირათ მივიდა საბჭოთა ხელისუფლება მოხმარებითი კომუნიზმის სისტემამდე, რომელმაც, როგორც ეს შემდეგ გამოირკვა, ჩვენი ეკონომიური ჩამორჩენილობის გამო, მოუკლა გლეხობას მიწათ - მოქმედებისადმი იმპულსები და სახალხო მეურნეობას საფუძველი შეურყია, მაგრამ, მაგივრათ, კრიტიკულს მომენტს, ნახევრათ-მშიერ ულუფით უზრუნველჰყო რევოლიუციის მთავარი ძალები—პროლეტარიატი და წითელი არმია“.

საბჭოთა რესპუბლიკის მომავლის შესახებ ავტორი იმედიანათ და ლაღათ სწერს: „შეიძლება ჩვენთან თავზარდაცემული უკუქცევას აქვს ადგილი? მეტათ გვიანი ხომ არ არის ჩვენ მიერ ახალ ეკონომიურ პოლიტიკის გზაზე შედგომა? ხომ არ არის სასოწარკვეთილი თვით საბჭოთა ხელისუფლება“? და სხვა. ასეთი ეჭვი უკვე გაფანტა დროთა ბრუნვამ. აი არსებითი აზრები ამ საკითხების გამო.

„პირველი მიზეზი, რომელმაც ჩამინერგა მე ეს რწმენა, არის ის, რომ საბჭოთა ხელისუფლება ჯერ კიდევ გენუის კონფერენციის დროს გამაგრდა ისეთ პოზიციაზე, რომელიც, რუსეთის სინამდვილის ფხიზელ მარქსისტულ ანალიზის თანაბრათ, სრულიათ შეესაბამება ჩვენს ეკონომიურ ჩამორჩენილობას და, იმავე დროს, საკმაო საწინდარია, თუმცა ნელის, მაგრამ გეგმაშეწონილ და სისტემატიურ მოძრაობისა სოციალიზმის გზაზე. შეინარჩუნა რა მსხვილი მრეწველობის ნაციონალიზაცია, როგორც საწინდარი სოციალიზმის მიღწევისა, საბჭოთა ხელისუფლებამ გაითვალისწინა ჩვენი ჩამორჩენილობა და თავისი ახალი ეკონომიური პოლიტიკით გასაქანი მისცა წვრილ საგლეხო მეურნეობის განვითარებას. მართალია, ჩვენი დარღვეულ მეურნეობის გამო, განსაზოგადოებრივებულ მრეწველობისთვის კიდევ მრავალ ხნის განმავლობაში საჭირო იქნება პროტექციონიზმი, რომელიც, ცხადია, საგლეხო მეურნეობას მძიმე ულღად დააწვება, მაგრამ ამ გარემოებას თანამედროვე პირობებში ვერ ასცილდებოდა ვერც ბურჟუაზიული ხელისუფლება. უკანასკნელიც იძულებული იქნებოდა მსხვილი მრეწველობის მიმართ პროტექციონისტური პოლიტიკა ეწარმოებინა, რათა ჩვენი დანგრეული ქვეყანა უცხო კაპიტალის მონობისაგან გადაერჩინა.

მაგიერათ, საბჭოთა ხელის უფლებას შეუძლია მისცეს გლეხობას ის, რაც არ ძალუძს არავითარ ბურჟუაზიულ ხელისუფლებას: მხოლოთ საბჭოთა ხელისუფლება არ აღადგენს მიწაზე კერძო საკუთრების უფლებას. ეს კი ნიშნავს არა მარტო ბატონ-ყმურ ნაშთების მოსპობას, არამედ, აგრეთვე დაბრკოლებას კაპიტალისტურ რენტის წარმოშობისათვის, რაც ყოველგან სასოფლო მეურნეობის განვითარების მუხრუჭათ იქცა. მხოლოთ საბჭოთა ხელისუფლება მოისურვებს წვრილ სავაჭრო შუამავლებთან ბრძოლას, რომელიც საგლეხო მეურნეობის სხეულზე მჯდომ პარაზიტის როლს ასრულებს. დასასრულს, მხოლოთ მას შეუძლია მიწათმოქმედებაში შრომის ინტერესების მფარველობა, ე. ი. დაცვა გლეხობისა, რამდენათაც უკანასკნელი მშრომელთა კლასს წარმოადგენს.

რათა ყოველივე ეს განხორციელდეს სინამდვილეში, რათა გლეხმა პრაქტიკაში შეიგნოს სოციალისტურ ხელისუფლების უპირატესობა ბურჟუაზიულის წინაშე,—საჭიროა დრო, საჭიროა ვადა. მაგრამ ეს დრო, ეს ვადა საბჭოთა ხელისუფლებამ მოიგო საერთაშორისო ბრძოლის ასპარეზზე და აი ეს არის მეორე წყარო ჩემი რწმენისა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ბოლოს და ბოლოს გაიკაფა სოციალისტურ აღმშენებლობის გზა.

თვით ის ფაქტი, რომ ანტანტამ გენუას კონფერენციაზე მოიწვია თავისი მოსისხლე მტერი, რომლის მოკვლას იარაღის საშუალებით ის ამაოთ ცდილობდა სამი წლის განმავლობაში, მოწმობს, რომ საბჭოთა ხელისუფლება მსოფლიოს საყოველთაოთ ცნობილსა და დიდ ფაქტორად გახდა. ჩემთვის ნათელი იყო, რომ ეს ფაქტი არ იყო ჩვეულებრივი დიპლომატიური გამარჯვება. ის იყო შედეგი, ერთის მხრით კაპიტალისტურ მსოფლიოს უკურნებელ სენისა და, მეორეს მხრით, ძლევამოსილ წითელ არმიის გმირულ ბრძოლისა, იმ არმიის, რომელიც აღიზარდა და განმტკიცდა ძველი არმიის ნანგრევებზე, სოციალიზმისთვის ბრძოლის ალმურში მუშათა კლასის დახმარებით, რომელმაც მისცა არმიას საუკეთესო თავისი ძალები“.

წითელ არმიას მარტინოვი საუკეთესო მხრით იგონებს: „ყველაზე უკეთესი, ანუ უფრო სწორათ რომ ვთქვა, ერთად ერთი ბრწყინვალე პოლიტიკური მოგონებები, რომლებიც მე უკრაინიდან ჩამომყვა, ას არის წითელ არმიის ჯარის კაცებთან შეხვედრის და ნაცნობობის მოგონებები, ჩვენი წითელი არმია მისი პროლეტარულ, კომუნისტურ გულით ცოცხალია და მედგრათ დგას საბჭოთა რესპუბლიკის სადარაჯოზე“.

ფრიად საინტერესოა მარტინოვის წერილის დასასრული სტრიქონები:

„მესამეჯერ ჩემს სიცოცხლეში მე გადავაფასე ჩემი შეხედულებანი. პირველათ იყო ეს მაშინ, როდესაც მე „ნაროდნიკობიდან“ მარქსიზმის თვალსაზრისზე გადავდიოდი. მეორეთ—მაშინ, როდესაც ე. წ. „რაბოჩედელსტვო“ მე მენშევიზმის თვალსაზრისით შევცვალე. მესამეთ კი ეხლა, როდესაც მენშევიზმიდან მე კომუნიზმის თვალსაზრისზე გადავდივარ. მძიმეა—საკუთარი შეხედულებების გადაფასება. მაგრამ მე ვინუგეშებ თავს მით, რომ რწმენის გადაფასების საქმეში მე კეთილი წინამორბედი მყავს თვით „დაუდეგარ ვისარიონ“-დან*) დაწყებული. და მე ვინუგეშებ თავს კიდევ მით, რომ ყველა ამ სამ შემთხვევაში მე მივდიოდი წინ, რევოლიუციისაკენ და არა უკან. უფრო სამწუხაროა ჩემთვის სხვა რამ: სახელდობრ ის, რომ მაშინ, როდესაც კომუნისტები ბურჟუაზიულ მსოფლიოსთან იბრძოდნენ,—სცდებოდნენ და ასწორებდნენ თავის შეცდომებს, ბორძიკობდენ და ხელახლა ფეხზე დგებოდნენ და მაინც იბრძოდნენ, მე უკრაინაში 4 წლის განმავლობაში არა გამიკეთებია რა, გარდა საკუთარ თავთან და პარტიულ ცრუმორწმუნოებასთან ბრძოლისა. ასეთ ცოდვაში მე ვინუგეშებ თავს მხოლოთ მაშინ, როდესაც თვით კრიტიკის მძიმე მუშაობა, რომელიც გავატარე მე ამ 4 წლის განმავლობაში, შეუმსუბუქებს კომუნიზმის მშობ-არობის ტკივილებს მრავალ მენშევიკებს, რომლებიც, მე დარწმუნებული ვარ, გრძნობენ ეხლა, როგორც ვგრძნობდი მე, რომ ისინი ციხეში მოემწყვდნენ, მაგრამ არ იციან, თუ როგორ გამონახონ გამოსავალი“.

---

*) ლაპარაკია ბელინსკის შესახებ.

პრესა

სახალხო განათლების საქმე ჩვენში.

გაზ. „მუშა“-ში მოთავსებულია საყურადღებო წერილი ამხ. პ. ს—ძის, ჩვენში სახალხო განათლების საქმის სავალალო მდგომარეობისა და, ამასთან დაკავშირებით, სათანადო უწყების მოღვაწეობის შესახებ. ავტორი გამოსთქვამს რამოდენიმე მწარე სიმართლეს როგორც პირველ, ისე მეორე საგანზე. ის სისწორით აღნიშნავს, რომ მაშინ, როდესაც სკოლები სოფლად თითქმის გაპარტახებულია, მასწავლებლობა მშიერ-ტიტველი, მოსწავლეები საჭირო სასწავლო ნივთებს მოკლებული უსახსრობის გამო, ამ დროს სახალხო განათლების უწყება ეწევა ისეთ ხარჯებს, რომელთა გამართლება შეუძლებელია ჩვენში სწავლების საქმის საერთო მდგომარეობის პირობებში.

იმის მაგიერ, სწერს ამხ. ს—ძე, რომ თბილისის სახ. თეატრის ბალეტის მოსაწყობათ იხარჯებოდეს ფული

სჯობია ერთი მეტი სკოლა მოვაწყოთ წესიერათ სადმე სოფელში ისე, რომ იქ მასწავლებელიც მასწავლებელს გავდეს, რომ ის საბჭოთა ხელისუფლების სიყვარულს უნერგავდეს ახალ თაობას, რომ ამ სასწავლებელში თვითეულ ბავშვს საჭირო სახელმძღვანელო წიგნებიც ჰქონდეთ და თვით სასწავლებელში ქარი და ნიავი თავისუფლად არ დაჰქროდეს.

რომელი სჯობია?

ასეთი სასწავლებელი ყოველ წლიურათ, სულ რომ წახდეს საქმე, 10—15 საბჭოთა ხელისუფლებისათვის თავდადებულ შეგნებულ მშრომელი ხალხის წრიდან მუშას მაინც შესძენს

შეიძლება სახალხო განათლების კომისარიატი სხვა აზრის იყოს ამ საქმის თაობაზე, მაგრამ მე რომ მკითხოთ ერთ შეგნებულ კომუნისტ გლეხის შვილს არ გავცვლი,..“

მთელ ბალეტზეო.

„ნათქვამია „სადაც არ იყოს, ცოტა კმარიყოს“-ო, და თუ არჩევანზე წავიდა ისევ სჯობია სახელმწიფოს კისრიდან ოპერა და ბალეტი ჩამოვხსნათ და სოფლის სკოლებს მივხედოთ.

ჩვენ კი პირიქით სასწავლებლებს უყურადღებოთ ვტოვებთ და იძულებულიც ვართ მივატოვოთ, ვინაიდან ჩვენი თანხა ყველაფერს არ გახვდა და ბალეტზე და ოპერაზე კი ვხარჯავთ ფულებს.“

ავტორს მოჰყავს მეორე მაგალითი არსებითად იმავე ხასიათის.

„დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც ერთმა ახალგაზრდა კომპოზიტორმა დასწერა „ლეილა“, სადაც მეფე ერეკლე და მისი რაში იყო სცენაზე გამოყვანილი.

მუსიკის მცოდნე პირები ამბობენ, რომ, როგორც მხატვრული ნაწარმოები ეს ოპერა დიდ ბარაქას არ წარმოადგენს, მაგრამ ჩვენი გზადაბნეულ მცონარე ინტელიგენციის კონტრ-რევოლიუციონური დემონსტრაციის მოსაწყობათ საუცხოვო გამოდგა.

სახელმწიფო ხაზინიდან დაიხარჯა გვარიანი მოზრდილი თანხა ამ საქმეზე და ბოლოს კი საჭირო შეიქნა ამ პიესის რეპერტუარიდან მოხსნა“.

შემდეგი მაგალითი, რომელიც მოჰყავს ავტორს, შეეხება ახალ კინოფილმას „მოძღვარს“, რომელიც გადაღებულია კომისარიატის ინიციატივითა და ხარჯით და რომლის დემონსტრაცია უკვე დაიწყეს ჩვენ ქალაქში.

სამღვდელოება ხალხის საშინელი მტერია, ბევრათ უფრო საშინელი, ვიდრე თვითმპყრობელობა მისი ჯარით, პოლიციით და ჟანდარმებით.

ამას თუნდა ის უბრალო მაგალითიც ამტკიცებს, რომ ბევრია ისეთი ქვეყნები (სხვების მაგალითის ძებნა რათ გვინდა, ჩვენც მათ რიცხვში ვართ), სადაც თვითმპყრობელობა დამხობილია, მაგრამ სამღვდელოება თავის მაცდური ზეგავლენით ხალხის გონება ბნელეთის ბურუსით აქვს“ მოწამლული.

დიდი მეცადინეობაა საჭირო, რომ სამღვდელოების თვალთმაქცობა გამოვამჟღავნოთ და დავიხსნათ ხალხის გონება სამღვდელოების გავლენისაგან.

ასეთ მუშაობ ს ჩვენ შეძლებისდაგვარათ კიდევაც ვეწევით და საჭირო იყო, რომ სახალხო განათლების კომისარიატსაც დაედვა თავისი წილი ამ მუშაობაში. მაგრამ აქ ც რაღაც უკუღმართი და გასაოცარი ამბავი მოხდა.

სახალხო განათლების კომისარიატი შესდგომია და კიდევაც მოუთავებია კინოლენტა „მოძღვარი“, ყაზბეგის ამ სათაურით დაწერილ რომანის შინაარსზე ამოქარგული.

რა არის ამ რომანში?

აქ არის გამოყვანილი მღვდელი ონოფრე—კაცი სათნო, გაბედული მქადაგებელი ძმობა-ერთობის, მებრძოლი ხალხის უვიცობის წინააღმდეგ, ადამიანი თავდავიწყებამდე ხალხის კეთილ-დღეობისათვის მზრუნველი.

მთელი რომანი ონოფრეს გარშემო ტრიალებს.

ეს ქრისტეს ჯვარით შეიარაღებული სამართ-იანობის ნამდვილი რაინდია.

ერთი გვიბრძანეთ, გინახავთ ვინმეს ასეთი მღვდელი?!

ამბობენ სადღაც, მგონი ინდოეთში, თეთრი ყვავებიც კი არისო, მაგრამ ჩვენში ასეთი ყვავები ბევრს არავის უნახავს და თუ გაწყრა ღმერთი ასი ათას ხუცესში ერთი ვინმე ადამიანს დაემსგავსა, რატომ უსათუოთ ამ ერთს (მე თუმცა ამ ერთის არსებობაც მეეჭვება) უნდა წავავლოთ ხელი და ამ ხორც-შესხმული ზღაპარით ჩვენ ხუცებს სახელი გაუკეთოთ.

დღეს, როდესაც ხალხმა უკვე შეაქცია მღვდლებს ზურგი და ნელ-ნელა თავს ითავისუფლებს მათ ზეგავლენისაგან, ასეთი სურათის ჩვენება სწორეთ რომ ცეცხლზე წყალის დასხმა იქნება.

ეს იქნება სამღვდელოების ზურგის გამაგრება და მათი სასარგებლო აგიტაცია.

საბჭოთა ხელისუფლების სარგებლობის თვალსაზრისით მშრომელი ხალხის გამოფხიზლების ინტერესი მოითხოვს ამ ლენტის უსათუოთ მოსპობას.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს ასეც მოხდება და „ლეილას“ მომზადებაზე წყ ლში გადაყრილ მილიონებს „მოძღვარის“ მილიარდები მიემატება.

საჭიროა [illegible] სახალხო განათლების კომისარიატის მოღვაწეობის ხაზის გამოსწორება და მისი სულ სხვა მიმართულებით ამოძრავება“.

ამ სამართლიანი დასკვნების შემდეგ კომენტარიები ზედმეტათ მიგვაჩნია.

რადიო-ტელეგრამები

რურის ოლქის ოკუპაცია

პუანკარეს ახალი მოთხოვნილება.

ბერლინი, 27 თებ. პუანკარეს მოთხოვნილებამ, ბრიტანეთის საოკუპაციო ზონაში რკინის გზებზე ახალი დათმობის შესახებ, ლონდონში ძალიან ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა.

რურის ავანტიურა უშედეგოა.

ბერლინი, 27 თებ. გაზ. „ალგემაინე განდელსბლატი“ სწერს: „ისეთი შთაბეჭდილებას ვიღებთ, რომ რურის ავანტიურას დღემდის არავითარი არსებითი შედეგები არ მოჰყოლია“.

მუშათა მასების აღშფოთება.

ბერლინი, 27 თებ. გაზ. „როტერდამე კურანტის“ ჰოლანდიელი კორესპონდენტი სწერს, რომ რურის ოლქში გავლის დროს, მან მიიღო ისეთი შთაბეჭდილება, რომ მუშათა მასები ძალიან აღშფოთებული არიან ოკუპაციით.

ფინანსიური ბლოკადა.

პარიზი, 27 თებ. კობლენცში მოკავშირეთა უმაღლესმა კომისიამ აკრძალა გერმანიის ფინანსთა მინისტრის ბრძანების შესრულება გერმანიის გადამხდელებისათვის კრედიტის მიცემის შესახებ. უმაღლესმა კომისიამ საბოლოვოდ გამოჰყო ოკუპაციით დაკავებული ტერიტორია გერმანიის ფინანსიურ ქსელიდან.

რური და ერთა ლიგა.

ბერლინი, 27 თებ. გერმანიის ზოგიერთი გაზეთები მოითხოვენ საფრანგეთისაგან, რომ თუ მას მართლაც სურს დაამტკიცოს ერთა-ლიგისადმი მორჩილება, გადასცეს რურის საკითხი ერთა ლიგას.

გადააჭარბეს ბეჯითობას.

ბერლინი. 27 თებ. მოკავშირეთა უმაღლესი კომისიის ბრიტანელმა დელეგატმა კელნში პროტესტი განაცხადა საფრანგეთის მიერ 12 მილიარდი მარკის ხელში ჩაგდების წინააღმდეგ. ეს ფული ნავარაუდევი ქონია ინგლისის ხელისუფლებს იმ სურსათის ღირებულების ასანაზღაურებლად, რომელიც მათ რეინლანდში შეზიდეს.

გერმანიის მთავრობის რწმუნებულის გადასახლება.

რომი. 27 თებ. ფრანგებმა გადაასახლეს დაკავებულ ტერიტორიის საზღვრებიდან გერმანიის მთავრობის რწმუნებული ბიუნეშერში.

რურის ოლქის ოკუპაცია.

მოსკოვი. 27 თებ. „დეილი მეილი“ იტყობინება, რომ ფრანგებმა ინგლისის საოკუპაციო ჯარების ზონის მახლობლად დაიკავეს ორი ახალი ოლქი.

ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკება კელნის რკინის გზის ქსელის გამოყენების შესახებ უშედეგოდ დამთავრდა. ინგლისის კაბინეტი არ ეთანხმება საფრანგეთის მიერ წარმოდგენილ მოთხოვნილებებს.

რეიხსბანკის პროტესტი.

ბერლინი. 27 თებ. ბერლინის მმართველ წრეებში სწარმოებს თათბირი ფრანგების მიერ მითვისებულ 12 მილიარდ მარკის შესახებ; ეს თანხა იგზავნებოდა ინგლისელების მიერ დაკავებულ ზონაში მოსამსახურეებისათვის ჯამაგირების დასარიგებლად. რეიხსბანკმა პროტესტი განაცხადა ამის წინააღმდეგ, აღნიშნა რა, რომ ეს წარმოადგენს კერძო საკუთრების დარღვევას.

მონტაბაუერის დაკავება.

ბერლინი. 27 თებერვ. 25 თებერვალს ფრანგებმა დაიკავეს ქალაქი მონტაბაუერი, რომელიც დღემდე შედიოდა ამერიკის საოკუპაციო ზონაში, მაგრამ უკვე ორი წელია არავის მიერ არ ყოფილა დაკავებული.

ოკუპანტების სამხედრო სასამართლო.

ბერლინი. 27 თებერვ. მაინცში საფრანგეთის სამხედრო სასამართლო მუშაობს საფრანგეთის მთავრობის სრული გავლენის ქვეშ. ყოველ-დღიურად გამოაქვთ საბრალმდებლო განაჩენები გერმანიის რკინის გზის მოხელეებზე, რომელთაც ბრალს სდებენ მუშებისათვის სამუშაო ხლფასის და პენსიების მიცემაში.

რეიხსტაგის წარმომადგენლის დაპატიმრება.

ბერლინი. 27 თებერვალი. საოკუპაციო ხელისუფლებამ დააპატიმრა გერმანიის რეიხსტაგის წარმომადგენელი, როდესაც ის გადადიოდა დაკავებულ ოლქის საზღვარზე. გაჩხრეკის შემდეგ, წარმომადგენელი, რომელსაც ბრალს სდებენ პროვოკაციაში, გაანთავისუფლეს.

ბოხუმში.

ბერლინი. 27 თებერვალი. 26 თებერვალს ფრანგებმა სავსებით მოსწყვიტეს დანარჩენ, ადგილებს ბოხუმის ცენტრი. მოძრაობა შეჩერებულია, მაღაზიები და დაწესებულებები დახურულია, სახელოსნოებში არ მუშაობენ.

რეკვიზიციების სისტემა.

ბერლინი. 27 თებერვალი. რეკვიზიციების სისტემა, რომელიც ფრანგებმა შემოიღეს რურის ოლქში, ვრცელდება არა მარტო ნახშირზე, არამედ ორთქლმავლებზე, ვაგონებზე, ფულზე, საოჯახო საჭიროების საგნებზე და სხვ. რეკვიზიცია ტარდება ფრანგების მიერ დღე და ღამის განმავლობაში.

რკინის გზის ქონების ხელში ჩაგდება.

ბერლინი. 27 თებერვალი. ვანნში ფრანკებმა პირველი შეტევისთანავე ხელში ჩაიგდეს 500 ორთქლმავალი და ვაგონები. მეორე შეტევის დროს ხელში ჩაიგდეს 14 ორთქლმავალი, 40 სამგზავრო ვაგონი, 46 საბარგო ვაგონი 160 დატვირთული ვაგონი.

ტანკების და ტყვიის-მფრქვეველების საშუალებით.

ბერლინი. 27 თებერვალი. ესსენის ვაგზალზე ფრანგებმა დასდგეს 4 ტანკა და დიდძალი ტყვიის-მფრქვეველები. ბევრი საბარგო ვაგონები გახსნეს და საქონელი გაიტანეს.

არ ერიდებიან ძარცვას.

ბერლინი. 27 თებერვალი. ბოხუმში რატუშის გარდა, ფრანგების მიერ გაძარცულია ლანდრატის შენობა.

ნეიტრალურ ზონაში შეჭრა.

ბერლინი. 27 თებერვალი. ფრანგები შეიჭრენ ნეიტრალურ ზონაში. 25 თებერვალს მაროკკოს მსროლელებმა დაიკავეს კენიგ-სვინტერი.

ლიმბურგის ვაგზალის დაკავება.

ბერლინი. 27 თებერვალი. საოკუპაციო ჯარებმა დაიკავეს ლიმბურგის ვაგზალი, რომელიც ეკუთვნოდა მაინის ფრანკფურტის რაიონს.

ბეჯითობენ.

ბერლინი. 27 თებერვალი. მანჰეიმიდან მიღებულ ცნობების თანახმად, მანჰეიმის ნავთსადგურში დაჭერილია ჰოლანდიის გემი, რომელზედაც მოხდა ჩხრეკა; ხელში ჩაიგდეს გემის ჟურნალი და დოკუმენტები. ერთი საათის შემდეგ, საფრანგეთის საბაჟო გემის მიერ დაკავებულ იქნა ჰოლანდიის გემი, რომელზედაც დაინიშნა ფრანგული კომანდა.

აძლიერებენ კონტროლს.

ბერლინი. 27 თებერვალი. საბაჟო კონტროლის გასაძლიერებლად, საფრანგეთის ჯარებმა დაიკავეს კელნსა და ცეტ-დე-პონს შუა მდებარე დაბები.

პუანკარეს პოლიტიკა.

პარიზი. 27 თებერვალი. სათადარიგო ჯარის აფიცერთა მიღების დროს პუანკარემ განაცხადა; „მართლაც, საჭირო იყო გაგვეხსენებია გერმანიისათვის, რომ ჩვენ ვიყავით გამარჯვებულნი და გვსურდა ვერსალის ხელშეკრულების შესრულება. ჩვენ მივიღეთ საწინდარი და არასოდეს არ გაუშვებთ ხელიდან ნაცვლად ტყუილ-უბრალო დაპირებებისა.

ფრანგების რეპრესიები.

მოსკოვი. 27 თებ. ბერლინის გაზეთები სავსეა ცნობით ახალი ძალადობის და ქურდობის შესახებ, რომელთაც ჩადიან ფრანგები რურში. ფრანგებმა მიითვისეს რეიხს ბანკის მიერ გაგზავნილი 14 მილიარდი მარკა, რომელიც უნდა დარიგებოდა მუშებს სამუშაო ხელფასის სახით. ბოხუმში დააპატიმრეს ბურგომისტრი და 18 ხმოსანი. ბოხუმის სავაჭრო პალატა დანგრეულია, გაალეს ცეცხლის მძლე შკაფები და გაიტაცეს ქონება.

რკინის გზები რურში.

მოსკოვი. 27 თებ. დიუსელდორფიდან მიღებულ ცნობებით, რურის ოლქის რკინის გზები სავსებით ფრანგებს უჭირავთ.

ნახშირის გაგზავნა.

მოსკოვი. 27 თებ. რურის ოლქიდან გაიგზავნა ნახშირით დატვირთული 14 მატარებელი შვეიცარიაში, იტალიაში და ჰოლანდიაში და მხოლოდ თითო მატარებელი საფრანგეთში და ბელგიაში.

რურის გარშემო

საფრანგეთს არ შესწევს ძალა დაიცვას წესრიგი.

ბერლინი. 27 თებ. გერმანული გაზეთები ამბობენ, რომ საფრანგეთს, მიუხედავათ დიდი საოკუპაციო არმიისა, არ ძალუძს დაიცვას წესრიგი დაკავებულ რაიონებში. „სანქციათა“ რეჟიმის მარცხი ამტკიცებს იქ, რომ 200 მატარებლის მაგიერ ყოველ დღე მხოლოდ 7 მატარებელი გადის.

ფერადი ჯარები პოლიციის სამსახურში.

ბერლინი. 27 თებ. ესსენში ამ ჟამად პოლიციის სამსახურს ასრულებენ ნეგრების ჯარები. მაროკკოს ჯარებმა დაიკავეს კენიგსვინტერი, ლიმბურგის რკინის გზის სადგური და ნახევარი სადგურების კელნსა და კობლენცში.

ინგლისის პოლიტიკის კრიტიკა.

ბერლინი. 27 თებერ. „სანდეი ტაიმს“-ი და „ობსერვერ“-ი აკრიტიკებენ ინგლისის მთავრობის შემცდარ პოლიტიკას რურის საკითხში და პუანკარეს პოლიტიკას უწოდებენ ყოველგვარი უფლების შებღალვას.

„კეთილ-მოწყობილი ნეიტრალიტეტი“.

ბერლინი. 27 თებერვ. „დეილი ქრონიკლ“-ი მოწინავე წერილში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მღელვარება რურის ოლქში იზრდება, რაც ცხადია ესაჭიროებოდათ ფრანგებს, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ვერ გამოიყენებდენ ფერად ჯარებს და ვერ ჩაიდენდენ იმას, რასაც ადგილი აქვს ბოხუმში. გაზეთი შემდეგ სვამს კითხვას: წავა თუ არა ინგლისის „კეთილ-განწყობილი“ ნეიტრალიტეტი ისე შორს, რომ დაჰფაროს საფრანგეთის ვერაგული პოლიტიკა. ბოხუმიდან, ესსენიდან და სხვა ადგილებიდან მიღებული ცნობები, იქ ფრანგების მიერ დაშინების, ძარცვის და ძალადობის პოლიტიკის წარმოების შესახებ, ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს ინგლისში.

გერმანიის ამბები

გერმანიის რეიხსტაგში.

მოსკოვი. 27 თებ. გერმანიის რეიხსტაგში გამართულ დებატების დროს, რომელიც ეხებოდა რეიხსვერსა და თეთრგვარდიელთა ორგანიზაციის „ორგეშის“ შორის კავშირის დამყარებას, კომუნისტმა ფრეილიხმა მოაგონა რუსეთის წითელი არმიის 5 წლის იუბილე, იმ არმიის, რომელმაც გააუქმა ყველა დანაშაულებრივი, ე. წ. საზავო ხელშეკრულებანი. ფრეილიხმა განაცხადა, რომ თუ გერმანიის პროლეტარიატი გაჰყვება რუსეთის პროლეტარიატის გზას, იგი დაამარცხებს პუანკარეს.

ახლო აღმოსავლეთში

ეკონომიური თათბირი სმირნაში.

მოსკოვი. — სმირნის ეკონომიურ თათბირზე ერთხმად მიიღეს რეზოლიუცია თამბაქოს მონოპოლიის გაუქმების შესახებ. რეზოლიუცია მოითხოვს ანგორის მთავრობისაგან ნედლი თამბაქოს უცხოეთში გატანის აკრძალვას. ეს ზომები ცუდ გავლენას იქონიებს ინგლის-საფრანგეთის კაპიტალის ინტერესებზე.

ოსმალეთის დათმობათა შესახებ.

მოსკოვი. 27 თებერვალი. ანგორის პრესას მიუღებლად მიაჩნია დათმობები, ეროვნულ ხელშეკრულების ფარგლების გარეშე. „ენი გიუნი“ თვით ისმეტ-ფაშის დათმობებსაც მოკავშირეებისადმი სთვლის მიუღებლად ოსმალეთის ხალხისათვის.

ამხ. აბილოვის გარდაცვალების გამო.

ანგორა. 25 თებერვალი. ანგორის პრესა გამოსთქვამს ღრმა მწუხარებას ამიერ-კავკასიის ფედერაციის წარმომადგენლის ამხ. აბილოვის გარდაცვალების გამო. გაზეთებში მოთავსებულია აღმოსავლეთის ფრონტის სარდლის კიაზიმ-კარა-ბექირ-ფაშას თანაგრძნობის დეპეშა, რომელიც მან გამოუგზავნა ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმს.

საზავო ხელშეკრულების გარშემო.

ანგორა. 25 თებერვალი. გაზ. „ენი გიუნი“ იტყობინება, რომ ანგორის მთავრობამ გადასწყვიტა წინადადება მისცეს მოკავშირეებს 1 წლით გადასდონ ეკონომიური საკითხების განხილვა. იმავე გაზეთის ცნობით, მთავრობამ დაადგინა მიიღოს მოკავშირეთა წინადადება კარგაჩის შესახებ, არ განიხილოს სირიის საზღვრების საკითხი და შეიტანოს უმნიშვნელო შესწორებანი საზავო ხელშეკრულების ზოგიერთ მუხლებში.

პუანკარე უკმაყოფილოა.

ანგორა. 25 თებერვალი. გაზ. „ენი გიუნი“ სწერს: „პუანკარემ გამოიჩინა უკმაყოფილება ოსმალეთის პრესის პროპაგანდის გამო. თუ საფრანგეთი არ შესცვლის თავის პოლიტიკას, ოსმალეთის პრესა დასვამს საკითხს სირიიდან ფრანგების განდევნის შესახებ. ოსმალეთის პრესის პროპაგანდა მიმართულია საფრანგეთის ერის, არამედ იმ მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც მტრულ პოლიტიკას აწარმოებს ოსმალეთის წინააღმდეგ.

საზავო ხელშეკრულების განხილვა.

რომი. 27 თებერვალი. საზავო ხელშეკრულების პროექტის განხილვამ დიდ ეროვნულ კრებაზე ძალიან დიდხანს გასტანა. ეროვნული კრების წევრთა უმრავლესობა აკრიტიკებდა ოსმალეთის დათმობაზე წასვლას.

მდგომარეობა საფრანგეთში

ჩიჩერინის ნოტის გამო.

მოსკოვი. 27 თებერვ. საფრანგეთის გაზეთები კომენტარიებს უკეთებენ საბჭოთა მთავრობის ნოტას, რომელიც ჩიჩერინმა გაუგზავნა პოლონეთს. გაზ. „ტანი“, აღნიშნავს რა ნოტის მშვიდობიან ხასიათს და ლიტვის ორჭოფულ მოქმედებას, ამბობს:

„პოლონეთისათვის გროდნო-ვილნოს ხაზის გადაცემა დიდ საფრთხეს წარმოადგენს რუსეთისათვის იმ შემთხვევაში, თუ იგი მოისურვებს გერმანიასთან ერთად თავს დაესხას პოლონეთსო“.

გაფიცვა საფრანგეთში.

მოსკოვი. 27 თებერვ. მემაღაროეთა საფრანგეთის უნიტარულ კავშირის ნაციონალური საბჭო გაფიცვების შეწყვეტის შესახებ გამოქვეყნებულ მოწოდებაში აღნიშნავს გაფიცვის დიდ წარმატებას. მოძრაობაში მონაწილეობას იღებდა 215.000 მემაღაროები, მხოლოდ ყვითლების ღალატის გამო გაფიცვა დამთავრდა არა სრული, არამედ ნაწილობრივი გამარჯვებით. თუ ახლო მომავალში იმ რაიონებში, სადაც გაფიცვები არ ყოფილა, არ იქნება შემოღებული გაფიცულთა მიერ მოპოვებული გადიდებული ხელფასი, მაშინ კავშირი ხელახლა გამოაცხადებს გაფიცვას მთელი პროლეტარიატის დახმარებით.

ამერიკის ამბები

გარდინგის წინადადება.

ბერლინი. 27 თებერ. გარდინგმა ვაშინგტონის სენატში შეიტანა წინადადება შეერთებულ შტატების ერთა ლიგის საერთაშორისო მუდმივ სამედიატორო სასამართლოს შემადგენლობაში შესვლის შესახებ. გარეშე საქმეთა კომისია ფიქრობს ამ წინადადების განხილვას 27 თებერვალს.

ამერიკის მოთხოვნილებანი.

რომი. 27 თებერვ. პარიზის გაზეთები იტყობინებიან, რომ ვაშინგტონიდან მიღებულია ამერიკის მთავრობის ცნობა, რომელშიაც ის კვლავ მოითხოვს საფრანგეთის მთავრობისაგან მარტში იმ ხარჯების გადახდას, რომელიც გამოწვეული იყო რეინლანდში ამერიკის ჯარების შენახვით.

სხვადასხვა ამბები

ბელგიის სამთამადნო მუშების გაფიცვა.

მოსკოვი. 27 თებ. ბელგიის სამთამადნო მუშების გაფიცვა ბორინაჟში გრძელდება, იგი გავრცელდა აგრეთვე შარლრუაში.

მოსკოვი. 27 თებ. 7 აპრილს რომში შეიკრიბება სოციალისტური კონგრესი, რომელზედაც განხილულ იქნება საკითხი კომუნისტებთან შეერთების შესახებ.

მდგომარეობა ვენაში.

მოსკოვი. 27 თებ. ვენაში ნაციონალისტური დემონსტრაციის მონაწილენი ცდილობდენ გაენადგურებიათ რადიკალური გაზეთების რედაქციები, რასაც შედეგად მოყვა ქუჩებში ბრძოლა, რომლის დროს დაიჭრა ბევრი გამვლელი.

ვენაში შესდგა კომპარტიის მიერ მოწყობილი საპროტესტო დემონსტრაციები რეაქციონურ-ტერორისტულ აქტების წინააღმდეგ. სოციალ-დემოკრატებმა არ მიიღეს მონაწილეობა ამ დემონსტრაციებში და დაადგინეს ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების მოკლულ წევრების დასაფლავების დღეს შესწყვიტონ ქალაქში მოძრაობა ხუთი წუთით.

სამუშაო დღე რუმინიაში.

მოსკოვი. 27 თებ. რუმინიის მთავრობა, პენის კურსის დაცემის ზეგავლენით, განაგრძობს გაძლიერებულ პროპაგანდას სამუშაო დღის გაგრძელების სასარგებლოდ, თუმცა ერთი საათით მაინც.

ამერიკა და საბჭოთა რუსეთის ცნობა

მოსკოვი. 27 თებ. ამერიკაში ეხლა ითვლება არა ნაკლები 17 ათასი სენატორებისა, რომელნიც მხარს უჭერენ საბჭოთა რუსეთის ცნობას.

ამერიკა და ჰააგის ტრიბუნალი.

მოსკოვი. 27 თებ. ვაშინგტონის ცნობით გარდინგმა მიმართა სენატს მოულოდნელი წინადადებით დათანხმდენ საერთაშორისო ჰააგის ტრიბუნალში ამერიკის მიერ მონაწილეობის მიღებაზე. ამასთან გარდინგმა ხაზი გაუსვა მას, რომ ამერიკას შეუძლია მონაწილეობა მიმღოს ამ ტრიბუნალში ლიგაში შეუსვლელად.

პოლონეთი და ლიტვა.

მოსკოვი. 27 თებერვალი. პოლონეთის ჯარმა დაიკავა ერთა ლიგის მიერ შექმნილ ახალ ნეიტრალურ ზონის ნაწილი. პირდაპირი მიმოსვლა ვილნო-გროდნო პოლონელების ხელშია. პოლონელები ცდილობდნენ წაწეულიყვნენ წინ და დაიკავეს ლიტვას სამი სოფელი, მაგრამ იქიდან უკუგდებულ იქნენ.

ლიტვას პრესა და პასუხისმგებელი მოღვაწენი აცხადებენ, რომ ლიტვა იძულებულია შეურიგდეს პოლონეთის ახალ მტაცებლობას, რათა თავიდან აცილებულ იქნას სისხლის მღვრელი შეტაკებები.

ქალთა განყოფილებების ყრილობა ნორვეგიაში.

მოსკოვი. 27 თებერვალი. ქრისტიანიაში ნორვეგიის კომპარტიის ყრილობასთან დაკავშირებით შემდგარ ქალთა განყოფილებების ყრილობამ 58 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 15. მიიღო რეზოლიუცია, რომელიც იწონებს კომინტერნის 4 კონგრესის ხაზს.

ადმირალ სტარკის მიერ გატაცებული რუსეთის გემები.

მოსკოვი. 27 თებერვალი. მანილიის გენერალ-გუბერნატორმა წინადადება მისცა ფილიპინის პარლამენტს მიიღოს კანონ-პროექტი, რომელიც ნებას დართავს ვლადივასტოკიდან ადმირალ სტარკის მიერ გატაცებულ გემების საკაბოტაჟო ნაოსნობისთვის გამოყენებას. საბჭოთა იურის-კონსულტი რეხტი შუამდგომლობს მანილიის სასამართლოს წინაშე რ. ს. ფ. ს. რ. ინტირესის დაცვის შესახებ.

იტალია და სამხრეთ სლავია.

სუსაკის ევაკუაცია.

ლონდონი. 27 თებ. სანტე-მარგალიტის ხელშეკრულების სარატიფიკაციო ბარათების გაცვლა-გამოცვლის შემდეგ იტალიელებმა დასცალეს სუსაკი, რომელსაც სამხრეთ-სლავიის ჯარები დაიკავებენ.

იტალია.

აჯანყებულების დევნა.

რომი. 27 თეა. უკანასკნელი ცნობების თანახმად, ქალაქ სლიტენის დაკავების დროს მოკლულია 250 კაცზე მეტზე აჯანყებული.

რადიო-ტელეგრაფის კავშირი ბერნ-მოსკოვს შორის.

რომი. 27 თებ. შვეიცარიის მთავრობამ მიანდო მარკონის საზოგადოებას მოაწყოს მუდმივი რადიო-ტელეგრაფის კავშირი ბერნს და მოსკოვს შორის.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

„ჩვენი პარტიის რეზერვები“.

მოსკოვი. 27 თებერვ. გაზ. „პრავდა“ მოწინავე წერილში „ჩვენი პარტიის რეზერვები“—სწერს: „ჩვენ წინაშე სდგას ამოცანა, გავაძლიეროთ ჩვენი პარტიის რიგები კლასიურ პროლეტარულ რეზერვების ხარჯზე. ამისთვის მომენტი ხელსაყრელია. მუშათა კლასის მდგომარეობის საერთო გაუმჯობესება, ჩვენი უეჭველი გამარჯვება სამეურნეო ფრონტზე და საერთაშორისო ასპარეზზე, მუშათა ფართო წრეებში ჩვენი გავლენის ზრდა—იზიდავს პარტიაში ფართო მასებს. მომავალი პარტიული ყრილობა უეჭველია განიხილავს ზომებს, რომელიც გააძლიერებს ჩვენ პარტიაში მეტად ძვირფას პროლეტარულ რეზერვების თავის მოყრას იგი აგრეთვე განიხილავს საკითხს—საჭიროა თუ არა იმ მოთხოვნილებათა დაცვა ან შესაძლებელია, რომელსაც უყენებს ჩვენი პარტია მუშებს“.

„სახელმწიფო მოიჯარადრეების გამოცდილება“.

მოსკოვი. 27 თებერვ. გაზ. „პრავდა“ სწერს „სახელმწიფო მოიჯარადრეობის გამოცდილებაში“ აღნიშნავს, რომ საჭიროა სახემლწიფო მოიჯარადრეობა დაუპირდაპირდეს კერძო მოიჯარადრეობას, რომელმაც ჯერ კიდევ მეფობის დროს მიიღო დამახინჯებული ფორმები. „შრომის სახ. კომისირიატთან მუშათა სახელმწიფოებრივი არტელების სრულიად რუსეთის გაერთიანების გამოცდილებამ, ამბობს გაზეთი, სასურველი შედეგი მოგვცა. სახელმწიფო მოიჯადროების იდეა ცხოვრებაში განხორციელდა. კერძო მოიჯარადრეობასთან ბრძოლა მხოლოდ რეპრესიულ ზომებით არ უნდა განისაზღვროს“.

ბეჭდვითი სიტყვის მოღვაწეთა შორის

მოსკოვი. 16 თებერვ. ტამბოვში დაბრუნდა „ტამბოვის პრავდის“ კორესპონდენტის არატოვის საქმის გამოძიება. არატოვი დატუსაღებული იყო ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მისი მოქმედებათა გამომზეურების გამო. კუბანის აღმასკომის თავმჯდომარე, ადგილობრივი მილიციონერი და სუბინსპექტორი ლებედიანსკის სისხლის სამართლის მილიციისა დატუსაღებულნი არიან და გადაცემულნი სასამართლოს. გამოძიების შედეგებმა მცხოვრებლებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და გაამაგრა მათ თვალში ბეჭდვითი სიტყვის ავტორიტეტი.

კრედიტების გაღება

მოსკოვი. 26 თებერვ. ფინასთა სახალხო კომისარიატის მიერ შედგენილია კომისია, რომლის დანიშნულებაა ფინანსთა სახალხო კომისარიატის ადგილობრივ დაწესებულებათა კრედიტების მოწესრიგება. ვინაიდან კომისიას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ემისიის შემცირების საქმისათვის და აგრედვე კრედიტების სრული დაფარვით საფინანსო უწყებისადმი ნდობის გაძლიერებისათვის, კომისიას მინიჭებული აქვს საგანგებო უფლებები.

მედიკამენტები წითელი ჯვრისათვის

მოსკოვი. 26 თებერვ. მიღებულ ცნობით ახლო-მომავალში მოსალოდნელია ნიუ-იორკიდან მედიკამენტებით დატვირთულ ორი გემის ჩამოსვლა. მედიკანენტები დანიშნულია წითელი ჯვრის დაწესებულებისათვის.

ამფითეატროვის სიკვდილი

მოსკოვი. 26 თებერვ. პეტროგრადში მიღებულია ცნობა იტალიაში მწერალ ამფითეატროვის გარდაცვალების შესახებ.

„სოფლის დაბეგვრა“

მოსკოვი. 26 თებერვ. გაზ. „ეკონომიური ცხოვრება“-ში დაბეჭდილ ლარინის წერილში „სოფელის დაბეგვრა“ ნათქვამია: „1921—1922 სამეურნეო წელში სახელმწიფოს ბიუჯეტი უდრიდა დაახლოებით 720 მილ. ომამდე არსებულ ოქროს მანეთს; ამასთან გლეხობიდან მიღებულია ყველა გადასახადებით ბიუჯეტის 67 პროც. შემდეგი 1922—23 წლ. ბიუჯეტი უდრის დაახლოებით 1,050,000 მანეთი, გლეხობის წილზე კი მოდის 54 პროცენტი.

საგაზაფხულო თესვის კამპანია.

მოსკოვი. 26 თებ. ვოლინის გუბერნიაში სწარმოებს გაცხოველებული მზადება საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის. მრავალ მაზრებში მოეწყო მოკლე ვადიანი სასოფლო-მეურნეობის კურსები.

ეკლესიის ნაცვლად—სკოლა.

მოსკოვი. 26 თებ. მელიტოპოლის რაიონის გლეხთა კონფერენციამ დაადგინა გააუმჯობესონ სკოლების საქმე სოფლებში სასულიერო წოდებისათვის მატერიალური დახმარების შემცირების გზით.

— ეკატერინოსლავის გუბერნიის, სოფელ ლემნიჩის გლეხებმა დაადგინეს გამოიყენონ ეკლესიის შენობა კულტურულ-განმანათლებელი მიზნისათვის.

მუშა—კორესპოდენტები.

მოსკოვი. 26 თებ. ეკატერინოსლავის გაზეთის „ზვეზდა“-ს მუშა—კორესპოდენტების პირველ კონფერენციაზე გამოვიდენ მისალმებებით საგუბერნიო კომისარიატის, საგუბერნიო აღმასკომის და პროფკავშირების წარმომადგენლები, რომლებმაც განაცხადეს, რომ მუშა-კორესპოდენტებს სრულ მფარველობას გაუწევენ პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები კონფერენციამ დაადგინა მოეწყოს გაზეთთან კურსები მუშა-კორესპოდენტებისათვის.

საგარეო ვაჭრობა.

მოსკოვი. 27 თებ: „ეკონომიური ცხოვრება“ მოწინავე წერილში ჩვენი საგარეო ვაჭრობის მდგომარეობის შესახებ ამბობს: „ექსპორტის სფეროში, პირველი და ძირითადი ჩვენი ამოცანაა—აღორძინება სახალხო მეურნეობის, სათანადო დარგების და პირველ ყოვლისა, სასოფლო მეურნეობის საექსპორტო ნაწარმოებთა და ტეხნიკურ კულტურებისა. ექსპორტი შეუძლებელია კრედიტის გარეშე და ამიტომ აუცილებლათ საჭიროა საგარეო ვაჭრობისათვის სპეციალური ბანკის დაარსება. გასაღების კრიზისი. რომელსაც განიცდის ჩვენი მრეწველობა, გარკვეულათ უკარნახებს მას დაადგეს თავისი ნაწარმოებთათვის გარეშე ბაზრების გამოყენების გზას. კერძოთ, რის წინაშე სდგას ამოცანა აღმოსავლეთისა და განაპირა სახელმწიფოების ამ მიზნისათვის გამოყენება“,

სრულიათ რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის.

მოსკოვი. 27 თებ. სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებები ბელორუსიაში ენერგიულათ ემზადებიან სრ. რუსეთის გამოფენისათვის. მოწყობილია საგამოფენო ბიურო, იმართება სამაზრო აგრონომების თათბირები.

— ამურის საგუბერნიო რევკომმა სრ. რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის წინასწარ მოსამზადებელ მუშაობის საწარმოებლათ გადასდო 5.400 ოქროს მანეთი.

წითელი არმიის 5 წლის თავის გამო

მოსკოვი. 27 თებ. პეტროგრადში აკადემიურ ოპერის თეატრის შენობაში შესდგა პეტროგრადის საბჭოს საზეიმო სხდომა, წითელი არმიის ხუთი წლის თავის აღსანიშნავად, სხდომაზე მონაწილეობას ღებულობდენ წითელი არმიის და ფლოტის წარმომადგენლები და პეტროგრადში მყოფი „წითელი დროშის ორდენის“ ყველა კავალერები.

23 თებერვალს ურიცკის მოედანზე შესდგა პეტროგრადის გარნიზონის ჯარების აღლუმი, რომელიც დაიწყო ახალგაზრდა წითელ არმიელების ფიცის მიღების ცერემონიით.

ოლქის სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს მიერ ფრონტის დათვალიერების შემდეგ აღლუმზე დამსწრე სრულიად-რუსეთის ცაკის წევრები ჩამოდიან ტრიბუნებიდან ფიცის ტექსტით ხელში და არიგებენ ამ ტექსტებს ცალკე ნაწილებს შორის, რომლებშიაც ხმა მაღლა გაისმის წითელი ფიცის სიტყვები.

— წითელი არმიის ხუთი წლის დღესასწაულის დღეს ხარკოვის გარნიზონის შეფებმა გაუმართეს სადილი შეფობის ქვეშ მყოფ ნაწილებს. შაქრის და საფეიქრო ტრესტებმა დაურიგეს შეფობის ქვეშ მყოფ საჰაერო ფლოტის ნაწილებს ახალი ტანთსაცმელები.

— ბერლინში, წითელი არმიის ხუთი წლის დღესასწაულის დღეს გაიმართა ბერლინის პროლეტარიატის მნიშვნელოვანი დემონსტრაციები. საღამოს, ბერლინის ერთ-ერთ დიდ დარბაზში მიუნცენბერგმა გააკეთა მოხსენება, წითელი არმიის ხუთი წლის თავის დღესასწაულის შესახებ.

მოხსენების შემდეგ უჩვენეს დამსწრეებს კინო-სურათი „კომინტერნის მეოთხე კონგრესი“, წითელი არმიის აღლუმით. კრებამ მქუხარე ტაშით მიიღო წინადადება ტროცკისათვის მისასალმებელი დეპეშის გაგზავნის შესახებ.

— ასტრახანიდან, სარატოვიდან, კოსტრომიდან და მრავალ სხვა ქალებიდან მიღებულია დეპეშები, რომლებშიაც აღნიშნულია, რომ წითელი არმიის ხუთი წლის თავის დღესასწაული ყოველგან დიდი აღფრთოვანებით ჩატარდა! ტულაში კომინტერნის წევრმა, რომელიც ჩამოვიდა დღესასწაულზე დასასწრებად, გადასცა—შეფობის ქვეშ მყოფ პოლკს დროშა. იარ ლის და ვაზნების ქარხნის 20,000-მა მუშამ დასტოვა მუშაობა და ორგანიზაციულად გამოვიდა ქუჩებში წითელი არმისადმი მისასალმებლად.

— ჩინეთის აღმოსავლეთ—რკინის გზის მუშებმა შორეულ აღმოსავლეთში გამართეს საღამოები, წითელი არმიის დღესასწაულის აღსანიშნავად.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ბათომი

გემების მიმოსვლა. გავიდა ოდესაში გემი „პესტელი“, რომელმაც თან წაიღო 1910 ფუთი სხვა და სხვა ტვირთი. ნოვოროსიისკიდან მოვიდა გემი „ფელიკს ძერჟინსკი“, რომელიც გაბრუნდება უკან 28 თებერვალს. 27 თებერვალს სასწრაფო საბარგო რეისით ზანგულდაკში ანატოლიის ხაზით გავიდა რუსეთის გემი „აი-პეტრი“.

რუსეთის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოში. 27 თებერვალს რუსეთის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ გემით „მარმარა“ გაგზავნა საზღვარ-გარეთ 6 ათასი ფუთი ტკბილი ძირი. რუსეთის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ მიიღო რუსეთიდან 900 ფუთი სხვადასხვა მანუფაქტურა, რომელიც ამ დღეებში გამოვა ბათომის ბაზარზე.

საბინაო საკითხი ბათომში. სახალხო კომისართა საბჭომ დააკმაყოფილა აჭარისტანის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის თხოვნა ბათომში საბინაო კრიზისის ნაწილობრივად მოგვარების შესახებ. დადგენილია მიეცეს კომუნალურ მეურნეობის განყოფილებას უფლება სახალხო კომისართა საბჭოს ცალკე მოწერილობის თანახმად გაანთავისუფლოს კომუნალურ სახლების ოთახები იმ პირებისაგან, რომელნიც არ არიან პროფკავშირების წევრები და საბჭოთა მოსამსახურენი. აღნიშნულ პირებმა უნდა გაანთავისუფლონ ბინები კომუნალური მეურნეობის განყოფილების მიერ დანიშნულ ვადის განმავლობაში. ასეთის საშუალებებით შეიძლება შენობებით დაკმაყოფილებულ იქნას ზოგიერთი საბჭოთა დაწესებულებანი, რომელნიც ამ დრომდე განიცდიან გაჭირვებას ამ მხრით, როგორც მაგალითად, სოციალურ უზრუნველყოფის სახ. კომისარიატი, რევტრიბუნალი, სახალხო სასამართლოები და სხვ.

ბათომის ნავთსადგურში. თებერვალში ბათომის ნავთსადგური ინახულა უცხოეთის შემდეგ გემებმა: „კლეოპატრა“ (იტალია), „კასის“, „შეფილდ“, „სან-ციბურჩო“, „ტურბო“ (ინგლისი), „ემპაირ-აროუ“ (ამერიკა), „ვოსპორუს“ და „მარმარა“ (თავისუფ. ქალ. დანცინგის), „აი-პეტრი“ (საბჭოთა), „დიმიტრიჩ“ (სერბია) და „ტოდლია“ (საფრანგ.).

ამხ. აბილოვის ხსოვნას

23 თებერვალს ადრე დილით ქალ. სმირნაში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ოსმალეთში ამიერ-კავკასიის სრულ უფლებიანი წარმომადგენელი ამხ. იბრაგიმ აბილოვი.

აღმოსავლეთის ხალხთა მონობისაგან განთავისუფლების მომენტში, როდესაც უნდა გადაწყდეს ახლო აღმოსავლეთის პრობლემები, მეტად სამწუხაროა მშრომელი ხალხისათვის ისეთი მოღვაწის დაკარგვა, როგორიც იყო ამხ. აბილოვი.

ვინ იყო აბილოვი? ამხ. აბილოვი იყო საუკეთესოდ მომზადებული მარქსისტი და საუკეთესო მცოდნე აღმოსავლეთის სპეციფიურ პირობების. ის კარგათ ცნობილი იყო ოსმალეთის მშრომელ მასსებში და ოსმალეთში ყოფნის დროს ხან მოკლე დროს განმავლობაში დაიმსახურა დიდი სიმპატია. რევოლიუციონურ ოსმალეთის მთავრობების და საბჭოთა რესპუბლიკებს შორის მეგობრულ განწყობილების შექმნის საქმეში ამხ. აბილოვმა ითამაშა უდიდესი როლი. თავისი ნიჭით და ცოდნით, რომელიც ჩინებულად ერკვეოდა ყველა რთულ საერთაშორისო საკითხებში და პირობებში, ამხ. აბილოვმა დიდად გაადვილა მთელ რიგ ის თ პოლიტიკურ და ეკონომიურ ხასიათის საკითხების გადაწყვეტა, რომლებისგანაც დამოკიდებული იყო თვით რევოლიუციონურ ოსმალეთის ბედ-იღბალი. წარსული წლის სექტემბერში ანგორაში ჩასვლის დროს, როდესაც სწარმოებდა ომი საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის, ამხ. აბილოვმა შესძლო საბჭოთა რესპუბლიკებისადმი იმ არა მეგობრულ დამოკიდებულების განფანტვა, რომელიც არსებობდა ოსმალეთის საზოგადოების ზოგიერთ წრეებში ევროპის დიპლომატიის ინტრიგების წყალობით. ამხ. აბილოვმა საბჭოთა რესპუბლიკების სხვა წარმომადგენლებთან ერთად მოკლე დროს განმავლობაში საკმაოდ გ აცნო ოსმალეთის საზოგადოებას საბჭოთა ქვეყნების ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკის შინაარსი, რამაც დიდად ხელი შეუწყო საბჭოთა რესპუბლიკებისა და ოსმალეთს შორის კეთილ მეზობლურ და გულწრფელ ურთიერთობის დამყარებას. მშრომელმა ხალხმა ამხ. აბილოვი დაჰკარგა, მაშინ, როდესაც ოსმალეთმა ლოზანის კონფერენციის ჩაშლის შემდეგ გადასდგა პრაქტიკული ნაბიჯები თავის მეურნეობის აღსადგენად. ასეთ დროს ამხ. აბილოვს შეეძლო ბევრის გაკეთება და მისი დაკარგვა წარმოადგენს მეტად დიდ და საგრძნობ დანაკლისს აღმოსავლეთის მშრომელი ხალხისათვის. ამხანაგი აბილოვი ოფიციალურად არ ირიცხებოდა კომუნისტურ პარტიაში, მაგრამ მთელი თავისი ცხოვრება მოანდომა მშრომელი ხალხის სამსახურს და მთელი მისი სიმპატია იყო საბჭოთა ხელისუფლებისაკენ.

ის დაიბადა 1881 წ. ორბუდადში; წარმოიშვა ღარიბ პროლეტარულ ოჯახისაგან. დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყო 18 წლიდან ბაქოში, სადაც მუშაობდა კაჩეგარის თანაშემწეთ. ახალგაზრდული ენერგიით ებმება მუშათა მოძრაობაში, კითხულობს არალეგალურ ლიტერატურას, იკავებს მჭიდრო კავშირს ორგანიზაციასთან და ფარულად ავრცელებს ლიტერატურას. ასეთ მუშაობისთვის მას იჭერენ და ათავსებენ ციხეში ოთხი წლით.

ციხიდან გამოსვლის შემდეგ ის მიემგზავრება თემინხანშურაში და განაგრძობს არალეგალურ მუშაობას. შემდეგ ბაქოში, სადაც უკანასკნელ წუთებამდი განაგრძობდა დაუღალავად მუშაობას.

1921 წელში ჯერ დანიშნულ იქნა აზერბეიჯანის რწმუნებულად ოსმალეთში და შემდეგ კი—ამიერ-კავკასიის სრულუფლებიან წარმომადგენლად.

აპრილის პირველ რიცხვებში ანგორიდან სმირნაში ეკონომიურ კონგრესზე ჩასვლისას ის უეცრად გახდა ავად და 23 თებერვალს გარდაიცვალა. განსვენებულის ცხედარი 2 მარტს გადატანილ იქნება კონსტანტინოპოლით ბათომში.

მისი 24 წლის დაუღალავი მუშაობა პროლეტარიატის საქმისათვის და მისი ნათელი ხსოვნა საუკუნო იქნება მშრომელი ხალხის გულში.

სანიტარული განათლება

ოქტომბრის რევოლიუციის ერთ-ერთ უდიდეს მონაპოვარს შეადგენს მუშათა და ყველა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმის ფართედ დაყენება, რაც ჩამოყალიბებულია განსაკუთრებული ორგანოს მოწყობით ჯანმრთელობის სახალ. კომისარიატის სახით. მაგრამ ვერავითარი სანიტარული ხასიათის კანონები ვერ გაამართლებენ თავის დანიშნულებას, თუ არ იქნა მათდამი შეგნებული დამოკიდებულება ფართო მასსების მხრივ, რის გამო სანიტარული განათლება სამართლიანად წარმოადგენს სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის უპირველეს სამუშაო საგანს.

თანამედროვე ეკონომიური და ფინანსიური კრიზისის დროს სახელმწიფოს არ შეუძლია დაუთმოს ამ მუშაობას სათანადო, საყოფი, საშუალება, რის გამო სახ. ჯან. კომისარიატის სასანიტარო-საგანმანათლებელო მუშაობამ ვერ მიიღო ფართო ხასიათი.

გაითვალისწინა რა ზემოხსენებული, სახ. ჯანმრთელობის კომისარიატმა, შარშან შემოდგომაზე დაარსა განსაკუთრებული საუწყებათაშორისო სასანიტარო-საგანმანათლებელო საბჭო, რომლის შემადგენლობაში მიიწვია შემდეგი ორგანიზაციები და დაწესებულებები: საქ. კომპარტიის ც. კ., კომპარტიის ახალგაზრ. კავშირის ც. კ., ქ. პ. ც. კ. ქალთა განყოფილება, მთავარ პოლიტ. განათლების სამმართველო, კავკასიის მედიკური საზოგადოება, უნივერსიტეტი, საქ. პროფკავშირთა საბჭო, საქ. მედიკურ-სანიტარული შრომის კავშირი, ექიმთა სექციის ბიურო, რკინის გზის ჯანმრთელობის განყოფილება, ჯანსახკომისარიატის დაზღვეულთა სამკურნალო ქვე-განყოფილება და საორგანიზაციო განყოფილება, განათლების სახალხო კომისარიატი, შრომის დაცვის განყოფილება, თბ. კ. ქალთა განყოფილება, ქალაქის ჯან. განყოფილება, ჯანსახკომისარიატის ბავშვთა დაცვის განყოფილება, სასანიტარო-საეპიდემიო განყოფილება და წითელი ჯვარი.

ეს დაწესებულებები შეადგენენ საქართველოს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატთან არსებული სასანიტარო-საგანმანათლებელო საბჭოს, რომლის მიზანს შეადგენს ფართო მასსების სანიტარული განათლება—ლექციების, საუბრების, სან-მიტინგების, სან-წარმოდგენების, სან-გასამართლების, პოპულიარული ლიტერატურის გამოცემის, პლაკატების, სასანიტარო-საგანმანათლებელი სახლის, მუზეუმების, გამოფენების, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების საშუალებით.

ამ პროგრამის განსახორციელებლად საჭიროა სახსარი, რის გამო, სასანიტარო-საგანმანათლებელო საბჭოს პრეზიდიუმი მიმართავს ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს, ტრესტებს, სამეურნეო ორგანოებს და სხვას, თხოვნით, აღმოუჩინონ დახმარება ახლად დიწყებულ დიდ საქმეს, რითაც მოგვეცემა მუშაობის გაჩაღების ფართო საშუალება სხვადასხვა დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა შორის.

თანახმად წესდებისა, საბჭოს შემადგენლობაში შეუძლია შევიდეს ყველა დაწესებულებას და ორგანიზაციას, როგორც სახელმწიფოს, ისე კოოპერატიულს, აგრეთვე კერძოც, რომელნიც კი ისურვებენ მიიღონ აქტიური მონაწილეობა მის მუშაობაში. განცხადებათა შეტანა, მატერიალური, ან მორალური დახმარების და აგრეთვე საბჭოში წევრად შესვლის სურვილის შესახებ და ყოველნაირ ცნობის მიღება შეიძლება ყოველ დღე დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდე საბჭოს პრეზიდიუმის სადგომში, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის შენობაში (საპიორის ქ. № 30, ოთახი № 5) საბჭოს მდივან ექიმ ვილლისთან.

საქ. ჯანსახკომის სასან. საბჭოს პრეზიდიუმი.

ქუთაისის არხი „მაშველი“ და გლეხობა

(წერილი ქუთაისიდან)

საქართველოში მუშურ გლეხური მთავრობის დამკვიდრების პირველი ნაბიჯი იყო გადადგმულ ღარიბი გლეხობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. იმპერიალისტური ომმა 1914 წლიდან სავსებით შეასუსტა მეურნეობა. აშკარაა, რომ ამის მთავარი მიზეზი იყო სოფლის ცოცხალი ძალების ომში გაყვანა. მთელი ენერგია შეეწირა ხოცვა-ჟლეტას ისე, რომ მეურნეობის აყვავებას უკვე არავინ ყურადღებას არ აქცევდა

1917 წელს იფეთქა რევოლიუციამ, გლეხები მოუთმენლად ელოდდენ ჯერ მიწას და შემდეგ კი შრომის განაყოფიერებას. მაგრამ ეგრედ წოდებული, „სოციალისტური“ მთავრობა იმაზედ სრულიად არ ფიქრობდა, მას ამოქმედებდა განზრახვა. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა იმავე წლის 25 ოქტომბრამდე. 25 ოქტომბერს რევოლიუციამ ააფეთქა ბურჟუაზიის ბატონობა და გაანთავისუფლა რუსეთის მუშები და გლეხები მავნე „ოპეკუნებისაგან“. მაგრამ რეაქცია არ დაწყნარდა და, გაერთიანებულებმა ნიკოლოზის შავ ღენერლებთან, ესერმენშევიკ-კადეტებმა ერთი ფრონტით გაილაშქრეს მუშების მონაპოვართა წინააღმდეგ მაგრამ კონტრ-რევოლიუციამ მიიღო მუშებისაგან საკადრისი პასუხი. სამოქალაქო ომმა სამი წლის განმავლობაში საშუალება არ მისცა რუსეთის მუშურ-გლეხური მთავრობას ხელი მოეკიდა სამეურნეო აღმშენებლობისათვის. რა მდგომარეობა არსებობდა ამ ხანებში საქართველოში, რუსეთის რევოლიუციისაგან გამოქცეული „სოციალისტები“ ჩაუდგენ სათავეში „დემოკრატიულ“ სახელმწიფოს, მაგრამ სოციალისტური და დემოკრატიული რეფორმები ვერ გატარდა ცხოვრებაში და დიდი ხანი გავიდა, სანამ საბჭოთა რევოლიუცია ყოფილ „სოციალისტებს“ შავი ზღვის ტალღებს მიაბარებდა.

როგორც ზევით მოვიხსენიე საქართველოში საბჭოთა მთავრობის დამკვიდრებას მოყვა გლეხების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა. ს. ს. ს. რ. უმაღლესი სამეურნეო საბჭოს მიერ იქნა საქართველოს ყველა კუთხეში გაყვანილი მელიორატიული არხები. კერძოთ მინდა შევჩერდე ქუთაისის არხი „მაშველი“-ს მშენებლობაზე.

ეს ბუმბერაზი არხი, რომელიც უდრის თითქმის რაიონის ნახევარს, მიიკლაკნება თვით ქუთაისიდან და ყოფს შუაში მთელ რიგ სოფლებს. პირველ დანახვაზე კაცი შეფიქრიანდება შიშით, ვინ შესძლო ამ უზარმაზარი საქმის გაკეთებაო? ის მორწყავს 45,000 ქცევა მიწას. არხი თითქმის მზად არის. მიწის სამუშაოს 90 პროც. შესრულებულია თვით გლეხების მიერ. ხიდეები თითქმის ყველგან აგებულია, მხოლოდ ეხლა უნდა გლეხებს დახმარება მთავრობისაგან შენობების ასაგებად რიონის შესართავთან. თვით ქუთაისში, საიდანაც გათხრილია ეს არხი, ინჟენერების გამოკვლევით შეიძლება აგებული იქმნას ჰიდრო-ელექტრონის სადგური 200 ცხენის ძალის. 18 თებერვალს შესდგა გლეხთა ამხანაგობა „მაშველი“-ს გამგეობის სხდომა, რომელმაც გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

„ჩვენ ქუთაისის მელიორატიული ამხანაგობა „მაშველი“-ს ღარიბი გლეხების წარმომადგენლებმა, მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ვლადიმერ ცაგარელის, ერთხმათ მივესალმებით საქართველოს მუშურ-გლეხურ მთავრობას და მის გაბედული ნაბიჯებს მშრომელი ღარიბი გლეხობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. აგრეთვე ხმამაღლა ვაღიარებთ საბჭოთა ხელისუფლების მტრების გასაგონათ, რომ მხოლოდ არსებულ მთავრობამ გააუმჯობესა ჩვენი მდგომარეობა. კერძოთ ურრმეს მადლობას ვუცხადებთ ამხ. **მალაქია ტოროშელიძეს,** რომლის ხანგრძლივმა შრომამ საფუძველი ჩაუყარა საქართველოს მეურნეობის აყვავებას და რომლის შრომის ნაყოფიც არის საქართველოს არხები. ამასთანავე ვთხოვთ საქართველოს კოოპერაციის მოძრაობის ცენტრს (ცეკავშირს) მიგვიღოს ჩვენ მისი მფარველობის ქვეშ. დარწმუნებული ვართ, რომ, თუ კოოპერაცია იკისრებს, ის საბოლოოდ დააგვირგვინებს ჩვენს მიერ დაწყებულ მუშაობებს. ცეკავშირის სახით ჩვენ გვეყოლება ავტორიტეტული ორგანო, რომელიც აღმოგვიჩინეს მზრუნველობას. ჩვენის მხრივ აღუთქვამთ ყოველმხრივ დახმარებას პირველი მისი მოწოდებისათანავე“.

ყრილობის თავმჯდომარე **ერასტი ფხაკაძე.**

მდივანი **სიმონ ავალიანი.**

გლეხები ღრმად დარწმუნებულნია, რომ მუშურ-გლეხური მთავრობაც ყოველმხრივ დახმარებას აღმოუჩენს მას—დაწყებული საქმის დასამთავრებლად.

ვლ. ცაგარელი.

ა. წ. 18 მარტს თბილისში მოწვეული იქნება კომუნისტური
ორგანიზაციების

ამიერ-კავკასიის მე-2-ე ყრილობა

პარტიულ ყრილობის დღის წესრიგი:

1. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის (პოლიტიკური და საორგ ზაციო) ანგარიში.
2. საკონტროლო კომისიის ანგარიში.
3. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
4. ახალგაზრდობის კომკავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომი მოხსენება.
5. ფინანსიურ რეფორმის შედეგები და საგადასახადო პოლიტიკა.
6. ეროვნული მომენტი საბჭოთა და პარტიულ აღმშენებლობაში.
7. საორგანიზაციო საკითხები.
8. სამეურნეო აღმშენებლობის საკითხები.
9. არჩევნები.
10. მიმდინარე საქმეები.

წარმომადგენლობის ნორმა—პარტიის ყოველ 100 წევრზე 1 დ გატი.

რუს. კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლ
კომიტეტის მდივანი—ა. მიასნიკოვი.

ტყიბულის რაიონი

1. საერთო მდგომარეობა.

ეს რაიონი ქუთაისს ეკვრის აღმოსავლეთის მხრით და შესდგება ოთხი თემისაგან. ამ კუთხის ადმინისტრატიული და გეოგრაფიული ცენტრი არის ხრესილი, სადაც მოთავსებულია სარაიონო მილიცია, სასამართლო და სხვა რაიონული დაწესებულებები. ამიტომ მას ხრესილის რაიონსაც უძახიან. გლეხობაში კი ეს კუთხე ცნობილია „ოკრიბის“ სახელწოდებით. მდებარეობით მთაგორიანია და მიწები საერთოთ მოუსავლიანია. არც სხვა რაიმე შემოსავალი აქვს ხალხს და ის ძლიერ გაჭირვებას განიცდის. რომ თავი ირჩინონ, აქაურ გლეხებს დღე და ღამე უხდებათ შრომა და მუშაობა, მაგრამ მაინც სიღარიბისათვის თავი ვერ დაუღწევიათ. დიდათ ეხმარება ამ კუთხის მცხოვრებს ტყიბულის მაღაროები, სადაც რამოდენიმე ასეული უმიწა-წყლო გლეხი აფარებს თავს და იმით საზრდოობს. ტყიბულის მაღაროები ეხმარება გლეხობას არა მარტო მატერიალურათ, არამედ პოლიტიკურათ და კულტურულადაც. სწორედ ამ წარმოების გამო ამ რაიონს განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული და ეს რომ არ ყოფილიყო, აქაური გლეხობა ძლიერ ჩამორჩენილი იქნებოდა. რომ შევადაროთ გლეხობის დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა მენშევიკების ბატონობის დროის მდგომარეობას, მასში დიდი განსხვავებაა. მენშევიკების დროს ამ რაიონს არავითარი ყურადღება არ ექცეოდა და იგი ღვთის ანაბარათ იყო მიტოვებული. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ კი აქ მუშაობა დაიწყო. არ ყოფილა არც ერთი აგიტაცია, რომ აქ არ ჩატარებულიყოს, აქ ყოველთვის კეთდებოდა მოხსენებები დღიურ წესრიგში წამოჭრილ მნიშვნელოვან კითხვებზე და ყოველივე ამის შედეგი ის არის, რომ გლეხობა დღეს უფრო გამორკვეულია მდგომარეობით, ვინემ აქამდე იყო. თუ კი მენშევიკებს ეს ხალხი ყოველ თვეში უჯანყდებოდა და იქაურ მთა-გორაკებზე მათ ზარბაზნების და ტყვიისმფრქვევლების თრევა სჭირდებოდათ „ურჩი ხალხის მოსაჭკვიანებლათ“, დღეს ის თანაგრძნობით ეკიდება საბჭოთა ხელისუფლებას და ყოველივე მის რეფორმებს და განკარგულება-დადგენილებებს ცხოვრებაში უმტკივნეულოთ ატარებს. შრომის ბეგარა, სასურსათო გადასახადები და სხვა აქ მთელი ასი პროცენტით ტარდება.

კარგი მდგომარეობაა ტყიბულის მაღაროებში, სადაც ჩვენი პარტიული და პროფესიონალური მუშაობა ჯეროვან დონეზეა დაყენებული, ყოველივე მნიშვნელოვან კითხვებს სათანადოთ ეხმაურებიან აქაური მუშები. რამდენჯერაც არ მოინდომეს მენშევიკების აგენტებმა აქ თავისი ბნელი საქმის გაკეთება, ყოველთვის კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. ჩვენ გვახსოვს 1922 წ. 13 თებერვალი და 24 მაისი. 13 თებერვალს საბჭოების არჩევნების დროს მენშევიკების ერთ-ერთ ბრმა აგენტმა მოწოდებით მიმართა მუშებს ბოიკოტი გამოეცხადებიათ არჩევნებისათვის და მასში მონაწილეობა არ მიეღოთ, მაგრამ მას არავინ გაყვა. მრავალრიცხოვანმა კრებამ კი ერთხმად აირჩია საბჭოში კომპარტიის მიერ წამოყენებული კანდიდატები. 24 მაისს მენშევიკებმა მოინდომეს გაფიცვის მოწყობა და როდესაც გამოაშკარავდა მათი შავი ზრახვები, თვით უპარტიო მუშებმა დაატუსაღეს ისინი და წარუდგინეს ადგილობრივ ხელისუფლებას. პროფკავშირების, ადგილკომების, დამზღვევი კასის და სხვადასხვა არჩევნებმა დაგვიმტკიცეს, რომ მენშევიკების აგენტებიდან გაწმენდილია ეს მაღაროები. არავითარი გავლენა მათ არა აქვთ მუშებში და ისინი (მუშები) ნდობას უცხადებენ კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას.

2. რელიგია და მასთან ხალხის დამოკიდებულება.

თვითმპყრობელობის დროს სამღვდელოების მოღვაწეობის მთელი სიმძიმე ამ კუთხეში ქონდა გადატანილი, რადგან ხალხის დამორჩილებას და მისი გონების დაჩლუნგებას ადვილათ ახერხებდენ გელათის და მოწამეთის მონასტრის საშუალებით. ამ მონასტრებში თავს აფარებდა 15—20 ანაფორაში გამოხვეული ბნელი ელემენტები და ზხამავდენ ხალხს თავისი „ქადაგებით“. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მათთვის მოწამეთის მონასტერს, სადაც ინახებოდენ ვითომდა ცოცხლებივით დავითი და კონსტანტინე.

30—40 ვერსის მანძილზე ფეხშიშველი ხალხი მიდიოდა ამ მონასტერში, მიქონდა ფული და სხვა რულებები და ევედრებოდა და კონსტანტინეს შველას. იტყავებოდა და ლატაკდებოდა, სამღვდელოება კი ჯიბეებს ისქ და. ასეთივე მდგომარეობა იყ ლათის მონასტერში.

მენშევიკების დროს მდგომა არ შეცვლილა. იმათ გელათიდან ვიანთ სასარგებლოთ ოქროები ღეს, მეტი არაფერი გაუკეთებია

მაგრამ თვით ხალხი ერკ მდგომარეობაში, თანდათან იღ და და რწმუნდებოდა სარწმუნ სიყალბეში. საბჭოთა ხელისუფლ რომელიც ემყარება მეცნიერებ ცოდნა-განვითარებას, ფარდა ა მღვდლების მატყუარობას, მან გ დავით და კონსტანტინეს ნეშ საჯაროთ უჩვენა ის ხალხს და მ ახსნა-განმარტება, თუ როგორ ა ლებდა ამით მას „წმინდა სას რო წოდება“. სანამ გახსნა მო ბოდა, 12—17 თებერვალს მთელ იონში გაკეთდა მოხსენებები რ გიის შესახებ. გლეხობა მრა ესწრებოდა მიტინგებს და ღ ყურადღებით ისმენდა მოხ ბებს—მორწმუნეთა წრიდან— ღრმა მოხუცებულები ამბობ „თუ მართლა ეხლა არა სასწაული მოხდა და წმინდანებ დაამტკიცეს თავისი წმინდანობა, თლა არაფერი ყოფილა—სარწმ ება“-ო. გახსნის შედეგებზე—რომ ველივე სინამდვილე გაეგოთ, ირჩევდენ წარმომადგენლებს გა დასასწრებლად. დაისწრენ გა ეს წარმომადგენლები და თავის ლით ნახეთ ყველაფერი. სამღვდელ ება, ველარ მოახერხებს ამის შ აქაური ხალხის დაბრმავებას ტყვილებას. ეს ხალხი ფხიზლდება და შორს არ არის დრო, როდესაც ხალხი სრულ განდევნის სოფლებიდან მატ მღვდლებს და ეკლესიების შე რაიმე კულტურულ საქმეებისთ მოიყენებს.

განათლების საქმე.

განათლების მხრივ ამ რა პირველი ადგილი საწირის თემ რავს, სადაც სამი მთლიანი სკოლაა—ხრესილში, საწორეთ ტყიბულში. პირველ ორში—რუ ფია, მესამეში მხოლოდ—7, ერთი დაბალი სკოლა, სოფ. დაბაში, კურსების თემში არის მთლიანი სკოლა, სადაც მეცად ბა შესაფერ დონეზეა დაყენ გურნის თემის მთლიან სკოლაში ჯერობით მხოლოდ ოთხი ჯგ დაბალი სკოლები ყველა სოფლ გარდა ორისა, სადაც მცხოვ რიცხვი მცირეა და ისინი მიწ მახლობელ სოფლებზე.

დადგენილია მანდიკორის გაიხსნას მთლიანი სკოლა, რომ საშვალო ადგილი უკვე ამორჩ და მიღებულია ზომები შენობ გებათ.

დროებით შეჩერებულ სამკ ლოების მოქმედება განახლდა. სნა ახალი სამკითხველოები თემებში, ეხლა რაიონში არის 7 სამკითხველო.

4. მიწის რეფორმა.

ამ რაიონში მსხვილი მემამ არ არიან, არიან მხოლოდ ვალო და კულაკი გლეხები, აქ ძლიერ მცირეა და უნაყოფ გამოც მიწის საქმე დღემდი გ გვარდა. უკანასკნელათ კი ამ გლივ სწარმოებს ცხოველი მ ყველა თემებში დაწყებულია ზომვა. ამა 12-17 თებერვალს გან მოწვეული იქნა გლეხთა გები და გაკეთდა მოხსენებ წის რეფორმის შესახებ. გლეხ დი ყურადღებით ისმენდენ მო ბებს და აძლევდენ მომხს მრავალ შეკითხვებს. ყველგან ხმათ გამოტანილი იქნა რეზ ციები, რომლებშიაც გლეხობა შნავს მიწის რეფორმის საჩ გატარების აუცილებლობას და წოდებს თავიანთ თემების მიწ მიტეტებს გაატარონ რეფორმ ცილებლათ ა | წ: 15 მარტამდე

5. კოოპერაცია.

ამ დარგში მუშაობას უკა ლად გამოფხიზლება ეტყობა ბულის მაღაროებში არსებობ მაოდ ღონიერი მუშათა კო ტივი.

საწირის თემში არის სა ოპერატივი — ხრესილში, სა და ტყიბულში. რამოდენიმ წინათ განაახლა მუშაობა თემის კოოპერატივმა, რომელ ხსნა განყოფილებები—სოფ. თში და მანდიკორის თემში.

სასოფლო მეურნეობა

შემოდგომის ნათესების მდგომარეობა

სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს ცნობების მიხედვით

კახეთიდან მოსული ცნობების მიხედვით, იანვრის განმავლობაში თელავის და სიღნაღის მაზრებში თოვლი არ მოსულა, ამინდი ყოფილა მშრალი, ზოგგან ადგილი ჰქონია ძლიერ სიცივეს. უთოვლობას ხელი შეუწყვია მინდვრის თაგვების გაჩენისათვის, ალაგ-ალაგ მინდვრის თაგვს ზიანი მიუყენებია ნათესისთვის. სიღნაღის მაზრაში როგორც შემოდგომის პურის ისე ქერის ნათესი საგრძნობლად დაზიანებულა ბარის-უბნის, ჯუგაანის და აფენის თემებში. თელავის მაზრაში ნათესები დაზიანებულა გავაზის, ყვარელის, აკურის და წინანდალის თემებში.

ა. წ. თებერვლისათვის სიღნაღის მაზრაში მოსულმა თოვლმა ნათესები წამოაკეთა და იმედია რომ შედეგი დამაკმაყოფილებელი იქნება. თებერვლის 10-სთვის როგორც პურის ისე ქერის ნათესები საშუალო მდგომარეობაში ყოფილან.

თემში მოქმედობს ერთი კოოპერატივი სოფ. სოჩხეთში. ზომებია მიღებული მეორე კოოპერატივის გასახსნელად ს. გურნაში.

კოოპერატივების მუშაობას ხელმძღვანელობენ ჩვენი ამხანაგები და უპარტიო მოქალაქენი. კოოპერაციაში ჩვენი გავლენა ძლიერია.

6. ხიდები და გზები.

ხიდები ხშირათ შესაკეთებელი აქვს აქაურ ხალხს. წყალდიდობას ისინი მიაქვს და მცხოვრებთ უხდებათ ახალის გაკეთება. გურნის თემში გაკეთებულია—5—6 ხიდი. კურსების—4, [illegible] საწირის და მანდიკორის თემში. ესენია საცალფეხო ხიდები, ამ რაიონს შუაზე ყოფს მდინარე წყალწითელა და 1914 წლამდე ეს ორი ნაწილი შეერთებული იყვენ გელათის ახლო ხიდის საშვალებით. 1914 წ. ეს ხიდი წაიღო წყალმა და მცხოვრებნი ცუდ მდგომარეობაში ჩავარდნენ, ორივე ნაწილი მოწყვეტილია ერთმანეთს, წყალდიდობის დროს ფონში ურემი ვერ გადის და ამნაირათ მიმოსვლა წყდება. ეს ხიდი აუცილებლათ უნდა გაკეთდეს. რამდენადაც ვიცით ქუთაისის სამაზრო აღმასკომს შედგენილი აქვს ამ ხიდის გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა და ეხლა საჭიროა საქმის დაწყება. ადგილობრივი მცხოვრებნი თავის ძალღონეს არ დაზოგავენ ამ ხიდის გასაკეთებლათ, რადგან მათთვის, როგორც ზევით ვსთქვით, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ყველა თემებში წასული წლების განმავლობაში დიდი მუშაობა სწარმოებდა გზების შეკეთებაზე. ყველგან გაფართოვებული იქნა გზები, ზოგან ახალიც გაიყვანეს. მომავალშიაც იქნება საჭირო ასეთი მუშაობა და ამით ჩვენ მივაღწევთ ამ დარგში მდგომარეობის გაუმჯობესებას.

7. დასკვნა.

გლეხების გამორკვევა და გამოფხიზლება, სკოლების გახსნა და მათში მეცადინეობის ჯეროვან დონეზე დაყენება, მიწის რეფორმის გასატარებლათ ცხოველი მუშაობის წარმოება, დახურული და სიკვდილზე მიმდგარი კოოპერატივების მუშაობის განახლება, გზების, ხიდების გაკეთება და მრავალი სხვა—აი ყველაფერი ის, რის გაკეთებაც შესძლო საბჭოთა ხელისუფლებამ ამ რაიონში ორი წლის განმავლობაში. გათვითცნობიერების და განათლების სხივმა შეანათა ამ ჩამორჩენილ კუთხეში, რომელი კუთხეც სიბნელეში ყავდა მენშევიკურ მთავრობას და მის მარჯვენა ხელს—სამღვდელოებას.

იაგო.

საქართველოს რესპუბლიკის მილიციის რევიზია

(საუბარი ამხ. მიქაბერიძესთან).

ამ ხანებში ტფილისს დაბრუნდა დასავლეთ საქართველოში მოგზაურობიდან ს. ს. ს. რესპუბლიკის მილიციის ინსპექტორი ამხ. მიქაბერიძე, რომელიც გაგზავნილი იყო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის ამხ. გეგეჭკორის მიერ მილიციის რევიზიისა და გაწმენდის დავალებით.

„ჩემს მოგზაურობის დროს, სთქვა ამხ. მიქაბერიძემ, მე მოვიარე სვანეთი და დასავლეთ საქართველოს ყველა მაზრა და ქალაქები, სადაც დათხოვნილი იყო სამსახურიდან რამოდენიმე პირი და ზოგიერთიც სამსახურის უმცროს საფეხურზე ჩამოყვანილი. საერთოდ მილიციიდან ამოფხვრილი იყო ყველა მავნე ელემენტი.

ქუთაისის გუბერნიის ზოგიერთ ქალაქებში მე მომიხდა მიტინგებზე გამოსვლა, რომლებზედაც განუმარტე ხალხს ცენტრალურ ხელისუფლების სურვილები, მილიციის ამოცანები საბჭოთა ხელისუფლების პრინციპების თვალსაზრისით, ვუთითებდი ხალხს მოვალეობაზე მილიციის მიმართ, რომელიც მდგომარეობს მილიციისათვის დახმარების გაწევაში ბანდიტებთან და მავნე ელემენტებთან ბრძოლის დროს, ამავე დროს მე ვა[illegible] ხალხს, რომ რუსეთიდან მრავალი ჩამოდის ჩვენი სოფლებისათვის [illegible] და სხვა საქონლები, რადგან [illegible]ეთში დღეს არც ერთი ქარხანა დგას უმოქმედოთ.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო [illegible]პატივისცემა, რომლითაც სვანეთის მცხოვრებლებმა მოეპყრნენ ჩემს მოსვლამდე რამოდენიმე დღით ადრე დანიშნულს მილიციის ახალ შემადგენლობას. დაახლოვებით, ასი კაცი ადგილობრივი მცხოვრებლებიდან გავიდნენ წინ მილიციას, აიტანეს მხრებზე მთელი ბარგი, გასწმინდეს თოვლით დაფარული უვალი გზები და მშვიდობიანათ ჩაიყვანეს მგზავრები და ბარგი მათი დანიშნულების ადგილამდე.

დამახასიათებელია, ის რომ სვანეთის მილიციის სამმართველო მოთავსებულია ეხლა ყოფილ მფლობელ თავადების—გარდაფხაძეების სასახლეში, რომლის ახლო წინეთ ვერ ჩაივლიდა ვერც მცხოვრებლები და ვერც მეფის პოლიციის პირები ისე, რომ ქუდი არ მოეხადათ.

რაც შეეხება ტფილისს, აქ მე განვაგრძობ მილიციის ინსპექტორისა და ინსტრუქტორის ვალდებულებათა ასრულებას. ბევრ რაიონებში გამართული იყო კრებები, რომლებზედაც მე ვაკეთებდი მოხსენებებს მილიციის ამოცანებისა და ვალდებულებების შესახებ არსებულ პირობებთან შეფარდებით. უნდა აღინიშნოს რომ ამ უკანასკნელ ხანს ტფილისის მილიციის მუშაობას გამოცოცხლება ემჩნევა. გაუმჯობესებულია ქუჩების განათება, სანიტარული მეთვალყურეობა, გაძლიერებულია ქალაქის დაცვა, შესამჩნევათ შემცირებულია ბოროტმოქმედებათა რიცხვი.

მილიციელთა შორის სჩანს მათი მუშაობის დიდი მნიშვნელობის შეგნება. სჩანს, ამხ. ხმალაძეს, ქ. ტფილისის მილიციის სათავეში მცირე ხნის ყოფნის დროს, დიდი მუშაობა შეუსრულებია.

ახლო მომავალში მე განზრახული მაქვს აღმოსავლეთ საქართველო მოვიარო, სადაც შესრულებული იქნება იგივე მუშაობა, რაც დასავლეთ საქართველოში.

გაწმინდა რა მილიცია ბოროტი ელემენტებისაგან, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა მიიღო ზომები მილიციის მოსამსახურეთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის—ტანსაცმელის, ჯამაგირის მხრით და სხვ.

ახლო მომავალში, როდესაც დამთავრებული იქნება ეს მუშაობა—შეიძლება გადაწყვეტით ვაღიაროთ—რომ ამხ. გეგეჭკორის კატეგორიული ბრძანება—საქართველოში ბანდიტიზმის ერთი თვის განმავლობაში ლიკვიდაციის შესახებ მილიციის მიერ კარგათ იქნება შესრულებული მშრომელთა მასსების საკეთილდღეოთ.

წითელ არმიელთა ცენტრალურ კლუბში

24 თებერვალს წითელ არმიის 5 წლის არსებობის თავზე ცენტრალურ წითელ არმიელთა კლუბში შესდგა საზეიმო სხდომა. თეატრის დარბაზი სავსე იყო წითელ არმიელებით და მუშებით. სხდომას ხსნის კლუბის გამგე ამხ. თარხანოვი, რომელიც პირველ სიტყვას აძლევს ამხ. სიკინჯალაშვილს. ამხ. სიკინჯალაშვილი თავის სიტყვაში ფართეთ ეხება წითელ არმიის წარმოშობის ისტორიას, მის როლს სოციალურ რევოლიუციაში და მის ეხლანდელ მიზნებს. შემდეგ [illegible]ობს საქართველოში მენშევიკების ბატონობის ხანაზე და ადარებს [illegible]ს მენშევიკურ და კომუნისტურ საქართველოს შორის. სიტყვის დასასრულს მოკლედ ეხება რურის აღებას და საფრანგეთის იმპერიალიზმის მუხანათურ მოქმედებას გერმანელ მუშების და გლეხების მიმართ. ამავე თემაზე ლაპარაკობს ქართულად ამხ. მამულაშვილი, რის შემდეგაც კრებას გამოაქვს შემდეგი დადგენილება:

„კრება მუშების და წითელ არმიელების სასტიკ პროტესტს აცხადებს საფრანგეთის იმპერიალისტურ მტაცებელ მთავრობის მოქმედების გამო გერმანელ მუშა გლეხების მიმართ და სდებს ფიცს რომ წითელი არმია, არმია მე-3 ინტერნაციონალის მზათ არის გერმანელ მუშა გლეხების პირველ გაძახებისთანავე ეკვეთოს იმპერიალისტურ მჩაგვრელთ და გაანთავისუფლოს მუშა გლეხები ჩაგვრა მონობისაგან".

დადგენილებას დამსწრენი ხვდებიან მქუხარე ტაშით.

პარტიული ცხოვრება

[illegible] პ. ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება წინადადებას აძლევს ყველა იმ ორგანიზაციებს, რომლებიც წითელი არმიის ხუთი წლის თავის და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წლის თავის დღესასწაულის მომწყობ ცენტრალურ კომისიისაგან მიიღეს ფულები, ერთი კვირის ვადაში წარმოადგინონ საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებაში ანგარიში მიღებული თანხის დახარჯვის შესახებ.

ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო
განყოფილების გამგე: **მ. ესხენი**

ს. ქ. პ. ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება ოთხშაბათს, 28 თებერვალს დილის 10 საათზე იწვევს

რაიონულ სააგიტაციო განყოფილებათა გამგეობის თათბირს

დღის წესრიგი: 1. რაიონულ საგიტაციო განყოფილებათა ანგარიში.
2. მიმდინარე საქმეები.

ტფილისის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგის მოადგილე: **ა. პენიაკოვი.**

---

3 მარტს, 1923 წელს

მოწვეულია გურიის მეოთხე სამაზრო

პარტკონფერენცია

დღის წესრიგი:

1) საბჭოთა ფედერაციის საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა.
2) სამაზრო კომიტეტის და სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3) მოხსენება ახალგაზრდათა კომკავშირის მუშაობის შესახებ.
4) მიწის საკითხი.
5) დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტის მოხსენება.
6) მიმდინარე კითხვები.
7) სამაზრო კომიტეტის, სარევიზიო კომისიის და დელეგატების არჩევნები საქ. კომპარტიის მე-2-რე ყრილობაზე.

პასუხისმგებელი მდივნის მაგიერ (ხელის მოწერა).

დ. ნაგომარი (გურია)

4 თებერვალს დ. ნაგომარში შესდგა ნაგომრის რაიონის (აკეთის, ზომლეთის და ნაგომრის თემების) კომუჯრედების გაერთიანებული კრება ამხ. კირილე უჯმაჯურიძის თავმჯდომარეობით. კრებას დაესწრო უჯრედების წევრთა უმრავლესობა.

დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1. მოხსენება საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო მდგომარეობაზე, 2. მოხსენება პარტიის ისტორიის შესახებ, 3. თემკომების კორესპოდენტების და მკითხველთა კოლეგიის.

ამხ. კ. ჩხარტიშვილმა, შეეხო რა ვრცლად მომენტს, აღნიშნა ბურჟუაზიის კრახი, გენუის, ჰააგის და ლოზანას კონფერენციების უშედეგო მუშაობა.

ამხ. მომხსენებელმა ვრცლად დაახასიათა საბჭოთა რესპუბლიკების მდგომარეობა და აღნიშნა, რომ მთელ დედამიწის ზურგზე მხოლოდ საბჭოთა რესპუბლიკებს ძალუძთ ფეხზე დააყენონ ომისაგან განადგურებული მეურნეობა და აშკარა უარი სთქვან და წინააღმდეგობა გაუწიონ საერთაშორისო სისხლის ღვრის გამომწვევ პოლიტიკას, რომელსაც ემსახურება მსოფლიო ბურჟუაზია.

ჩვენი პარტიის ისტორიის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. უჯმაჯურიძემ, რომელიც შეეხო: 1. მენშევიზმის და ბოლშევიზმის წარმოშობას, 2. რუსეთის რევოლიუციის დასაწყისს და ამ რევოლიუციაში სოციალისტური პარტიების გეგემონიას, 3. მეორე ინტერნაციონალის და მისი სულის ჩამდგმელების, 4. დიდ ომს და მეორე ინტერნაციონალის ღალატს მუშათა კლასისადმი, 5. რუსეთის დიდი რევოლიუციის წარმოშობას და გერმანიის დამარცხებას, 6. ოქტომბრის სოციალისტურ რევოლიუციას და მესამე ინტერნაციონალის დაარსებას. კრება მოხსენებით კმაყოფილი დარჩა.

მოხსენების შემდეგ კრება გადავიდა არჩევნებზე;

ნაგომრის თემკომის მდივნათ არჩეული იქნა კ. უ. წევრებათ ვ. ლომთათიძე და ხ. სტეფანია. ნაგომრის პასუხისმგებელ კორესპოდენტათ კ. უ.

აკეთის თემკომის მდივნათ არჩეული იქნა—ანთიმოზ ქანთარია, წევრებათ კ. ცინიკაძე და ნ. ჩხაიძე. პას.-მგ. კორესპოდენტათ—ა. ქანთარ ა. ზომლეთის თემკომის მდივნათ არჩეულ იქნა—აფთან მახარაძე, წევრებათ მაკარი ჯაში და მოსე მეგრელაძე. პას.-მგ. კორესპოდენტათ მ. ჯაში. მკითხველთა კოლეგიის მოვალეობა დაეკისრა კრების მიერ თემკომს. დასასრულ კრებამ უსურვა არჩეულ ამხანაგებს ნაყოფიერი მუშაობა.

აქაური მუშა.

ეკონომიური ცხოვრება

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატში.

უკანასკნელ ხანებამდე ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატის სავაჭრო განყოფილება შაქრის ოპერაციებს მხოლოდ საზღვარ გარეთთან აწარმოებდა. უკანასკნელი ოპერაცია მოხდა გასული წლის დეკემბერში. იანვარში რუსეთის შაქრის ბაზარზე შექმნილმა ხელსაყრელმა კონიუნქტურამ, რაც იყო შედეგი საბჭოთა რუსეთის შაქრის მრეწველობის აღორძინებისა, დააჩქარა შაქრის ტრესტთან ხელშეკრულების დადების საკითხი. ამიერ-კავკასიის სახ. ვაჭრობის კომისარიატმა გაგზავნა მოსკოვში თავისი წარმომადგენელი, რომელმაც 12 იანვარს დასდო გენერალური ხელშეკრულება, რომლის თანახმად ამიერ-კავკასიის სახ. ვაჭრობის კომისარიატი მიიღებს ნისიად 1,200,000 ფუთ. შაქარს და შაქრის ფხვნილს 1923 წ. განმავლობაში, იმ პირობით, რომ 1 | 3 ამ შაქრისა გასაღებულ უნდა იქნას ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთ სპარსეთში, ახლო მომავალში მოელიან ტფილისში მარშრუტს 25.000 ფუთ. შაქრით; მეორე პარტია 100 ათასი ფუთი იტვირთება და დატვირთვის შემდეგ დაუყოვნებლივ გამოიგზავნება ტფილისში. უნდა ვიფიქროთ, რომ შეკვეთილი შაქარის რაოდენობა სავსებით დააკმაყოფილებს ამიერ-კავკასიის ბაზრის მოთხოვნილებას. მომავალში რა თქმა უნდა ეს რაოდენობა გაიზრდება, თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ამიერ-კავკასიის ომის წინა დროინდელ შაქრის მოთხოვნილება უდრის 3.200.000 ფუთს.

ნავთის ოპერაციები ხდება მხოლოდ და მხოლოდ სპარსეთის ბაზარზე, სადაც სახ. ვაჭრობის კომისარიატს მონაპოლიის უფლება მიენიჭა.

ამიერ-კავკასიის სახ. ვაჭრობის კომისარიატის სავაჭრო განყოფილებასთან არსებული საზღვარ-გარეთელ შეკვეთათა მაგიდას აქვს ამიერ-კავკასიის ყველა დიდ დაწესებულებათა შეკვეთა. შეკვეთა სულ სხვა და სხვა ხასიათისაა. ავტომობილები, მანქანების ნაწილები, საწერი მანქანები, ტელეგრაფის აპარატები და სხვა.

საქართველოს სასურსათო სახ. კომისარიატის და აზერბეიჯანის აბრეშუმის სამმართველოსათვის საზღვარგარეთ შეძენილია 1,500,000 ფრანკის აბრეშუმის თესლი.

საძოვრების იჯარით გაცემა

ამ დღეებში მიწად-მოქმედების კომისარიატის სატყეო განყოფილებამ გასცა იჯარით სამეგრელოს და თურჩუს (ქუთ. მაზრა) საზამთრო საძოვრები.

აღსანიშნავია ის, რომ კომისარიატმა ჩამოიშორა ყველა მოსაშველე პირები, ე. წ. მოიჯარადრენი და იჯარა გადასცა თვით დასავლეთ საქართველოს მეჯოგეებს, მათ მიერ ამორჩეულ ამხანაგობა „მეჯოგე"-ს გამგეობის სახით. ამით ყოველგვარ აყალ-მაყალს და გაუგებრობას, რასაც უწინ ქონდა ადგილი, ნიადაგი ესპობა მით უმეტეს, რომ გადასახადები მეჯოგეებისთვის არ არის მძიმე მასთან კომისარიატმა იხელმძღვანელა რა მესაქონლეობის განვითარების ინტერესით, ამხ. „მეჯოგე"-ს შუამდგომლობით, შეამოკლა საქონლის ბაჟები: მსხვილ-ფეხ საქონელზე 40 კ. მაგიერ დააწესა 20 კაპეიკი, წვრილფეხზე კი, როგორიც არის ცხვარი, დააწესა 5 კ., 10 კ. მაგიერ და თხაზე 20 კ., 60 კ. მაგიერ. ამხ. „მეჯოგე"-ს გამგეობა უკვე შეუდგა მზადებას და ამ დღეებში მისი წარმომადგენელი მიემგზავრება ადგილობრივად საქმის მოსაგვარებლად. ამასთან ამხ. „მეჯოგე"-ს გამგეობამ შეიძინა „სეპარატორები" და სხვა. მოწვეულია აგრეთვე სპეციალისტი ინსტრუქტორი, რომლის საშუალებით მომავალ გაზაფხულზე რამოდენიმე რაიონში გამგეობა დაიწყებს რძის გადამუშავებას კულტურულად.

მეცხვარეობა დუშეთის მაზრაში

საქართველოს ფარგლებში დუშეთის მაზრას მეცხვარეობის მხრივ, თუ პირველი არა, მეორე ადგილი მაინც უჭირავს. რევოლიუციის ხანაში დიდი ზარალი მოუვიდათ მეცხვარეებს; დუშეთის მაზრის ჩრდილოეთ მხარეს მოსაზღვრე მთიულებმა: ქისტებმა, ოსებმა და ლეკებმა ისარგებლეს სხვა და სხვა მთავრობების სისუსტით და ასობით და ათასობით სტაცებდნენ ცხვრებს მოსაზღვრე მოხევეებს და ხევსურებს. არც უკანასკნელნი ჩამორჩენ სხვებს მტაცებლობაში და ამ გარემოებამ ხუთი წლის განმავლობაში საშინლად დასცა მეურნეობის ეს დარგი. თუ 1917 წლამდე დუშეთის მაზრის მთიულებში ბლომად იყვნენ ისეთი პირები, რომლებსაც ჰყავდათ ათასიდან ათი ათასამდე და კიდევ მეტიც ცხვრის ფარა, დღეს იშვიათია ისეთი მეცხვარე, რომელსაც ხუთასამდე ცხვარი ჰყავდეს.

მართალია, დღეს თავდასხმა მტაცებლობისგან არ ხდება ვინაიდან საზოგადოებრივი ცხოვრება უკვე ჩამდგარია ნორმალურ ჩარჩოში, მაგრამ მატყლით სარგებლობის კითხვა თავსამტრევ კითხვად მოევლინა ამ არე-მარეს. მატყლი ძვირფასი ვალიუტათაგანია, მისმა ფასებმა ომიანობის შემდეგ ევროპაშიაც აიწია 200—300 პროცენტით, ჩვენში რომ სახელმწიფოს თვითონ უშუალოდ ეწარმოებინა მატყლის დამზადების საქმე და მეცხვარეებისათვის მიეწოდებინა მათთვის უსაჭიროესი საგნები, როგორიც არის სიმინდი, მარილი, ნავთი, ჩითეულობა და სხვა, მაშინ ყოველმხრივ წინ წაიწევდა, როგორც თვით სახელმწიფოს მეურნეობა, ისე მეცხვარეობის დარგიც.

მაგრამ ამ საკითხს გვიან მიექცა ყურადღება. მხოლოდ გასულ წლის მაისის პირველ რიცხვებში გამოცხადდა მონოპოლია. მონოპოლიას მაშინ აქვს აზრი, თუ მას ზედ ერთვის მისი სისწორით გამტარებელი ორგანო—აპარატი და უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ საქმე ჩვენში რიგიანად ვერ მოეწყო.

მატყლის მონოპოლიის გამოცხადებისთანავე საჭირო იყო პარალელურად გახსნილ იყო პუნქტები, სადაც მცხოვრებლებს უნდა ჩაებარებინათ მატყლი და სანაცვლოთ მიეღოთ ფული ანუ მათთვის საჭირო საქონელი. წინააღმდეგ შემთხვევაში მონოპოლია დარჩებოდა ცარიელ სიტყვად და ეს ასეც მოხთა.

მაგალითად, თანახმად კანონისა, ადგილობრივ ხელისუფლებამ აკრძალა მაზრიდან მატყლის გატანა. ამან დიდი უკმაყოფილება დაბადა მკვიდრთა შორის. მატყლი იყო მათი არსებობის წყარო და ამავე დროს ეკრძალებოდათ გაეტანათ კავკავის და თბილისის ბაზრებში რათა შეეძ ნათ საჭირო საგნები.

მცხოვრებნი ასე სვამდენ საკითხს: თუ არ გვაძლევთ მატყლით თავისუფლად სარგებლობის ნებას, მოგვეცით აქვე მისი ღირებულება ან ფულით, ან საქონლითო.

და რადგან ეს მოგვარებული ვერ იქნა, ამან გამოიწვია მატყლის ჩუმად, ხანაც ქრამების გაღებით, ქალაქებში გატანა. ამან კი ერთგვარი დემორალიზაცია შეიტანა მაზრის ზოგიერთ თემების მოხელეებში.

მატყლის მონოპოლიის მოწყობა და მისი შეძენა მთავრობისაგან დავალებულ ჰქონდა „მწყემსის" საზოგადოებას, მაგრამ ამ საზოგადოებამ დღემდის ვერ გამოიჩინა საქმიანობის უნარი. სასურსათო კომისარიატმა გადასცა „მწყემს" ორი ათას ფუთამდე ხორბალი და სიმინდი, მაგრამ ეს ხორბლეულობა საწყობში სძევს და მატყლი კი მიიპარება საზღვრებიდან. „მწყემსის" საზოგადოებამ ვერ შესძლო გაეხსნა ადგილებზე საჭირო გადასაცვლელი პუნქტები. ერთად ერთი პუნქტი, რომელიც გახსნა „მწყემსმა" ეს იყო დაბა ფასანაურში, და სასურსათო გადასახადით აკრეფილი ხორბალი, რომელიც გადაეცა „მწყემს" უკანასკნელმა ისეთ პიროვნებას გადასცა გადასაცვლელად, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე ჩარჩულ მოღვაწეობაში გაუტარებია და ამ კუთხის მცხოვრებლების მოტყუებაგაყვლეფის მეტი არაფერი გაუკეთებია. ასეთ პირობებში როგორ შეეძლო თემის აღმასკომს ებრძანა სოფლელთათვის, რომ მატყლი მისთვის ჩაებარებინათ.

სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტმა და სასურსათო კომისარიატმა „მწყემსის" რწმუნებულს დაუსახელეს ფასანაურის პუნქტის გამგედ ისეთი პირი, რომელიც, როგორც ნდობით, ისე ცოდნითაც იყო აღჭურვილი, მაგრამ ასეთი დასახელებული პირი „მწყემსმა" არ მიიღო და სასურსათო გადასახადში აკრეფილი მარცვლეულობა ხელში ჩაუგდო ცნობილ ჩარჩ სპეკულიანტს კობაიძეს. „მწყემსის" საზოგადოება იმით იმართლებდა თავს, რომ გიგო კობაიძე გასამრჯელოში ნაკლებს თხოულობს, ვინემ ადგილობრივი ხელისუფლებიდან დასახელებული პირიო. რასაკვირველია, გიგო კობაიძეს გასამრჯელო ხელფასი კი არ აინტერესებდა, არამედ „მწყემსის" ფორმით, ორი წილი მატყლის თავისთვის დამზადება და გატანა თფილისში. ეს კიდევაც ასე მოხთა. ამ მოკლე ხანში არა ერთჯერ და ორჯერ გაგზავნა კობაიძემ ურმები დატვირთული მატყლით ტფილისში.

„მწყემსის" საზოგადოების ასეთი მოქმედება აქ სცემს მთავრობის პრესტიჟს და ჩვენ ვფიქრობთ ასეთ გარემოებას მიექცევა მთავრობისგან სათანადო ყურადღება. გარდა ამისა, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს გადასაცვლელი პუნქტები გაიხსნას სოფელ სიონში, ყაზბეგის თემში, სადაც მატყლის მიტანა და გადაცვლა მოსახერხებელია როგორც ყაზბეგელების ისე კობელებისთვის. ჩვენის გამოცდილებით და დაკვირვებით მატყლის მონოპოლიის საქმე უფრო წარმატებით წავიდოდა დუშეთის მაზრაში, რომ სახალხო სასურსათო კომისარიატს თვითონ ადგილობრივი სასურსათო კომისარიატის საშუალებით ეწარმოებინა მატყლის დამზადების საქმე. ახლაც არ არის ამ საქმის მოგვარება გვიანი, მხოლოდ საჭიროა „მწყემსის" საზოგადოება ამ დავალებისგან განთავისუფლდეს და მისი ადგილი უშუალოდ დაიჭიროს სასურსათო კომისარიატმა ან ცეკავშირმა.

ი. კ—შვილი.

მუშათა ცხოვრება

იურიდიული დახმარება

ამხ. მუშებს.

კითხვა: რომელ დაწესებულებებში და ორგანიზაციებში და რა მიზნით შემოღებულია შინაგან მოწესრიგების წესები?

პასუხი: ეს უკანასკნელი შემოღებულია ყველა სახელმწიფო დაწესებულებებში, კერძო და სახელმწიფო წარმოებებში და მეურნეობაში, სადაც მუშაობს არა ნაკლებ ხუთი მუშისა, შრომის რეგულიარულად (ნორმალურად) მოწყობის მიზნით.

კითხვა: სავალდებულოა თუ არა აღნიშნული წესები დაქირავებულ მუშა-მოსამსახურეთათვის?

პასუხი: აღნიშნული წესები დაქირავებულთათვის სავალდებულოა მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ კი ისინი (წესები) კანონიერი წესით და რიგიანად არის გამოცემული და თავის დროზე ეცნობება ყველა მუშა-მოსამსახურეს.

კითხვა: რას შეიცავს რიგიანად და კანონიერად გამოცემული წესები?

პასუხი: შინაგან მოწესრიგების წესები ნათლად, სწორედ, გარკვევით და ხაზგასმით აღნიშნავენ მუშა-მოსამსახურეთა და ადმინისტრაციის მოვალეობას ამა თუ იმ წარმოების და დაწესებულების ნორმალურად (ნაყოფიერად) მუშაობაში და აღნუსხავენ რიგს და საზღვრებს, რომლების ფარგლებში აღნიშნულ წესების დარღვევისათვის პასუხისმგებელია ესა თუ ის მხარე.

კითხვა: შესაძლებელია თუ არა რომ შინაგან მოწესრიგების წესები წინააღმდეგობდეს არსებულ შრომის კანონებს და დადგენილებებს, ან და წარმოება - დაწესებულებებში მომქმედ კოლექტიური ხელშეკრულებებს?

პასუხი: ყოვლად შეუძლებელია. აღნიშნული წესები სრულებით უნდა ეფარდებოდეს არსებულ შრომის კანონებს და დადგენილებებს და კოლექტიურ ხელშეკრულებებს.

კითხვა: ვისგან უნდა იყოს გამოცემული შინაგან მოწესრიგების „სამაგალითო" (ნორმალური წესები?).

პასუხი: ეს უკანასკნელები აუცილებლად უნდა იყოს გამოცემული შრომის სახალხო კომისარიატის მიერ.

კითხვა: ვისგან უნდა იყოს შემუშავებული შინაგან-მოწესრიგების წესები თითეულ სახელმწიფო, საზოგადო და კერძო წარმოება-დაწესებულებებისათვის?

პასუხი: შინაგანი მოწესრიგების წესები უნდა იყოს შემუშავებული წარმოების ადმინისტრაციის და სათანადო პროფკავშირის ადგილობრივი განყოფილების ურთიერთ შორის შეთანხმებით.

კითხვა: ვისგან უნდა იქნეს დამტკიცებული წესები?

პასუხი: აღნიშნული წესები მტკიცდება შრომის ინსპექტორის მიერ.

კითხვა: შეიძლება თუ არა, ამ უკანასკნელის დადგენილების გასაჩივრება?

პასუხი: გასაჩივრება შეიძლება შრომის ადგილობრივი განყოფილებაში, რომლის დადგენილებაც საბოლაოდ ჩაითვლება.

ს. პ. კ. ს. იურიდიული ბიურო.

სამუდამოდ დავძმობილდით!

მიმდინარე წლის 24 თებერვალი ჩვენთვის, მეტყავეთათვის დიდი ზეიმის დღე იყო. ამ დღეს ჩვენ კიდევ ერთხელ დავუმტკიცეთ ქვეყანას ჩვენი და წითელ არმიელების შეურყეველი ძმობა და ერთობა. წითელი ჯარის ხუთი წლის თავის აღსანიშნავად ჩვენ ვესტუმრეთ კადრის ეშელონის ტრანსპორტს. ჩვენი ერთმანეთის შეხვედრა დიდებული იყო. გალაღებული მასპინძელი არ იზოგავდა თავს ჩვენთვის (მუშებისთვის), რაც შეიძლება მეტი სიამოვნების მიყენებით.

არც სტუმრები ვეახელით ხელცარიელი. ხუთი მსუქანი ცხვარი, პაპიროსები, ფანქრები, კონვერტები და სხვა წინ მიგვიძღოდა ჩვენ შემდეგი სიტყვებით: „კეთილი გულით მოძღვნილი მცირედიც შეიწირების!".

ჯარის ნაწილი დაგვხდა სამხედრო მწკრივით სამხედრო მისალმებით და გულის სიღრმიდან ამოხეთქილ „ურა"-ს ძახილით. შემდეგ, ჩვენ შეუდექით ყაზარმის დათვალიერებას. ყველგან,—სამზარეულოში, სასადილოში, საწოლ ოთახში და სხვაგან, იშვიათი სისუფთავე გადაგვეშალა თვალწინ.

სუფთად შეთეთრებულ კედლებს ამშვენებდა სხვა და სხვა რევოლიუციონური და კულტურული ხასიათის წარწერები. დათვალიერების დამთავრების შემდეგ, მასპინძელმა მიგვიპატიჟა გაშლილ სუფრაზე. სადილობა წარმოადგენდა იშვიათი და უმჭიდროესი კავშირს მუშებსა და წითელ-არმიელთა შორის.

თითოეულ სუფრის ცალ-მხარეზე ვისხედით მუშები და ჩვენ წინ კი, მეორე მხარეზე, წითელ-არმიელები.

სადილი ჩავატარეთ მხიარულად. ორივე მხრიდან გამოდიოდენ ორატორები და გვიხსნიდნენ დიადი მომენტის მნიშვნელობას. სადილობის შემდეგ, მასპინძლებმა გვასიამოვნეს მშვენიერი სანახაობით—წარმოდგენით, რომელიც ინსენციროვკის სახით გამოხატავდა ცნობილ ლენის ამბებს.

დღე დამთავრდა იმით, რომ წითელ არმიელებს შეეკაზმათ ბედაურები და მოუწოდეს მუშებს სეირნობისკენ.

ბევრ მუშამ დიდი სიამოვნებით მიიღო ეს დაპატიჟება, ზოგმაც ვერ შესძლო ცხენოსნობა და თავისი უვიცობით იწვევდა საერთო ხარხარს. ამნაირად ჩავატარეთ დღესასწაული, რის შემდეგ მუშები დავიშალეთ შინისაკენ.

გაუმარჯოს ჩვენს ძმებს, გამარჯვებულ წითელ არმიელებს!

მუშა ცოვიანოვი.

მელითონეებში

ამ დღეებში მოწვეულ იქნა უმაღ. სამეურ. საბჭოს ლითონის განყოფილების და ოკას „სამბოზო-სარემონტო" ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრება.

კრებას დაესწრენ 300 მუშა-მოსამსახურე.

კრების თავმჯდომარედ ერთხმად იქნა არჩეული ამხ. სიტნიკოვი, მდივნად—ამხ. მიკირტუმოვი.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1) წითელი ფლოტის შესახებ და
2) მიმდინარე საკითხები.

წითელი ფლოტის შესახებ ვრცელ მოხსენებას აკეთებს ამხ. გავრიში, რომელიც ნათლად აშუქებს რუსეთის ფლოტის და მეზღვაურთა—დაუღალავ და თავგანწირულ ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ამავე ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ამავე ბრძოლას იგი აწარმოებდა კერენსკის ბურჟუაზიული მთავრობის მოსასპობად და საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად.

მომავალშიც დიდი მიზნები და ამოცანები სდგას წითელი ფლოტის წინაშე. მან უნდა მტკიცედ დაიცვას საბჭოთა რესპუბლიკების საზღვაო საზღვრები გარეგან, დაუნდობელ და მუხანათ ევროპის შავ ძალებისაგან. ამიტომ აუცილებლად საჭიროა წითელი ფლოტის სავსებითი აღდგენა-გაძლიერება, რასაც ვალდებულ არიან ყველა მუშებმა შეძლების დაგვარად შეუწყონ ხელი და გაუწიონ როგორც მორალური, ისე მატერიალური დახმარება და სხვა...

ამხ. ბახტიაროვი აღნიშნავს, რომ საბჭოთა რესპუბლიკების ძლიერების აღსადგენად ეკონომიურ დარგში საჭიროა, გარდა სამხედრო ფლოტისა აგრეთვე საკომმერციო (სავაჭრო) ფლოტის მთლიანად აღდგენა. ამხანაგი მოუწოდებს კრებას, რათა მან გადასდოს ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმისათვის თავისი დღიური ხელფასი...

ამხ. ამხ. გავრიშის და ბახტიაროვის მოხსენებებისგამო კრება, ერთხმად მიღებულ რეზოლიუციაში, სავსებით იზიარებს მომხსენებლების აზრს წითელ ფლოტის აღდგენის შესახებ და გულმხურვალედ ესალმება რა წითელ მეზღვაურებს, წითელ ფლოტს და მის ახალგაზრდა შეფს—კომკავშირს, ადგენს—გადასდოს წითელ ფლოტის სასარგებლოდ თითოეულმა მუშა-მოსამსახურემ თავის შრომის დღიური ხელფასი.

კრება იხურება ინტერნაციონალის სიმღერით.

კორ.-ინფ. ი ელიაშვილი.

გამასწორებელი სასჯელი

რესტორან „ელგუჯა"-ს პატრონი სიმონ მომაგეიშვილი ეწეოდა თავის მუშა-მოსამსახურეთა უწყალო ექსპლოატაციას. ამუშავებდა მათ მთელ დღის განმავლობაში და ზედმეტ საათების მუშაობის გასამრჯელოს კი არ აძლევდა. იღებდა სამუშაოზე ვინც მას უნდოდა, შრომის ბირჟის და კვების კავშირის გარეშე. ვინც მას, უწყალო პატრონს, კანონიურ წინააღმდეგობას გაუწევდა, ის უსათუოდ ქუჩაში მოხვდებოდა ულუკმაპუროდ. მაგრამ ნათქვამია „კოკა დიდხანს წყალს ვერ მოიტანს"-ო და მომაგეიშვილსაც ასე მოუვიდა. მის უკანონო მოქმედებებს მიაქცია ყურადღება სახალხო კვების კავშირმა და შრომის ინსპექციამ, რომელთაც შეაყენეს მომაგეიშვილზე რამოდენიმე ოქმები და შრომის კამისარიატის წინაშე მოითხოვეს მისი აღაგმვა.

ამ უკანასკნელის განკარგულებით მიმდინარე წლის 18 თებერვალს სახალხო სასამართლომ შრომის კომისარიატის შენობაში გაარჩია მომაგეიშვილის საქმე;—დაკითხულ იქნა რამოდენიმე მოწმე, რომელთაც ერთხმად დაადასტურეს შრომის კანონების დარღვევა მოქ. მომაგეიშვილის მიერ. ამის გამო სახალხო სასამართლოს მიერ მომაგეიშვილი დაჯარიმებულ იქნა ას ორმოცდა ათი მანეთი ოქროთი.

აღნიშნულ სასჯელმა დიდი მორალური გავლენა იქონია გაუსწორებელ ვაჭარზე. ეს უკანასკნელი სრულიად გამოიცვალა; ყველა მუშები კავშირში ჩასწერა და ნორმალური სამუშაოზე დააყენა.

ამიტომ აქაური მუშები დიდად მადლობელი არიან კავშირის და სახალხო სასამართლოსი და გაზეთ „კომუნისტ"-ის, რომელმაც სამარცხვინო ბოძზე გამოაკრა მომაგეიშვილის სახელი.

მუშა ერ. რევია.

სანიტარული განათლება რკინის გზათა მუშებში

ამა წლის 25 თებერვალს რკინის გზის ჯანმრთელობის განყოფილების სანიტგანათლების საბჭოს მიერ—გაგზავნილ იქნა ბაქოს მიმართულებით ვაგონი, „მუზეუმი - აუდიტორია"-ს სახელწოდებით, რომლის დანიშნულებას შეადგენს ლექციების გამართვა სანიტარულ განათლების შესახებ საილიუსტრაციო სურათების გამადიდებელ ფანრით.

ვაგონთან ერთად გაგზავნილია შვიდი მსახიობი, რომელთაც ევალებათ რკინისგზელ მუშათა კლუბებში საღამოების, მიტინგების და კონცერტების გამართვა და სხვა.

მოგზაურობას ხელმძღვანელობს სანიტ განათლების განყოფილების გამგის თანაშემწე ექიმი ჩალიძე.

მოგზაურობა გაგრძელდება ერთი თვის განმავლობაში, რის შემდეგ ვაგონი იმავე მიზნით გაიგზავნება რკინის გზის სამხრეთ-დასავლეთ რაიონებში.

რკინისგზელი.

ქრონიკა

საქ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოში.

— **ცენტრალური სავაჭრო განყოფილება.** სავაჭრო ოპერაციების გაფართოების მიზნით მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სავაჭრო განყოფილება აარსებს ერევნის მოედანზე თამბაქოს მაღაზიას № 4-ს, რომლიდანაც გაიცემა თამბაქო მხოლოდ ბითუმათ მყიდველებისათვის. განყოფილება შეუთანხმდა თამბაქოს ტრესტს, რომელმაც უნდა მისცეს რამოდენიმე მილიარდის თამბაქოს ნაწარმოები ხსენებულ მაღაზიისათვის.

— **ხელშეკრულება.** დაიდვა სავაჭრო ხელშეკრულება საპნის მექარხნეთა ტრესტთან, რომლის ძალით უკანასკნელმა უნდა მისცეს უმაღ. მეურნეობის საბჭოს 3 ვაგონი საპონის ნაწარმოები და რამდენიმე ფუთი სოდა და კანიფოლი.

— **საქონლის მიწოდება.** საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სავაჭრო განყოფილებამ გაუგზავნა ჩათახის ქარხანას საპონი, შუშეულობა და სხვა საქონელი 1 ნახევარი მილიარდი მანეთის. აგრეთვე პოლიგრაფიულ განყოფილებას მიეცა 130 ფუთი საბეჭდი ზეთი (კრასკა). დაიდვა ხელშეკრულება ქუთაისის კომუნალურ განყოფილებასთან 1 ნახევარი მილიარდის სხვა და სხვა საქონლის მიწოდების შესახებ. კერძო პირებს იანვრის განმავლობაში მიეცა: 2 ვაგონი მარსელის კრამიტი და 100 ფუთი ბზე.

— **საქონლის შეძენა.** საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ ვლადიკავკაზში შეიძინა 1 ვაგონი ნედლი ტყავეულობა თავის ქარხნებისათვის და 10 ვაგონი სიმინდი ღვინის ტრესტისათვის, აგრეთვე აწარმოებს მოლაპარაკებას სხვა და სხვა საქონლის შეძენის შესახებ.

ქალაქის აღმასკომში

— **ქალაქის სასაკლაოს მუშაობა 1923 წ. იანვარში.** ქალაქის სასაკლაოს მუშაობა მიმდინარე წლის იანვარში გამოიხატება შემდეგში: მოურეკიათ სულ სხვილფეხა საქონელი 4,889 სული, დაუკლავთ—2,990 სული. ე. ი. 61,2 პროცენტი. წვრილფეხა საქონელი—4,492, დაუკლავთ 4,359 სული, ე. ი. 97,0 პროც., ღორი—1565, დაუკლავთ—1564 სული, ე. ი. 99,9 პროც, საერთოდ შემორეკილ საქონლიდან დაკლულია 81,4 პროცენტი, ანუ 7,635 სული. საანგარიშო თვის მიხედვით რაოდენობა გაცილებით მეტია შარშანდელზე, წონა დაკლულ საქონლისა იყო 35,625 ფუთი, რომლის მიხედვით თითო სულ მცხოვრებზე იანვარში მოდის 5,7 გირვანქა ხორცი ქალაქის სასაკლაოდან.

— **საპნის ქარხანა.** სასაკლაოსთან არსებობს საპნის ქარხანა, რომლის მუშაობა იანვარში გამოიხატება შემდეგში: დემზადებულ იქნა 150 ფ. უბრალო საპონი, დარჩენილი იყო 1 იანვრისათვის 84 ფ. გაიყიდა 231 ფ. და 35 გირ. დარჩა 1 თებერვლისათვის უბრალო საპონი 3 ფ.

— **საუტილიზაციო.** სასაკლაოსთან არსებულ საუტილიზაციო ქარხანამ დაამუშავა 23 ცხენის ტყავი, გაიყიდა 12. ძროხის 1, გაიყიდა 1. ცხვრის —59, გაიყიდა სულ, თხის 7, გაიყიდა სულ.

— **საძეხვე ქარხანა.** ხსენებულმა ქარხანამ იანვრის განმავლობაში დაამუშავა სხვა და სხვა ხარისხის ძეხვეული სულ 211 ფ. და 17 გირ. გაანაღდა 209 ფ. და 14 გირ. დარჩა 1 თებერვლისათვის 2 ფუთი და 2 გირ.

— **პურის საცხობი.** პურის საცხობში გამოცხვა სულ თეთრი და შავი პური 527 ფ. და 3 გირ. ნედლი მასალის მიხედვით ერთ ფუთ თეთრ ფქვილიდან გამოსულა 2 ფ. 28 გირ. პური, შავი ფქვილიდან 1 ფ. და 12 გირ.

აჭარის შრომის განყოფილება

— **განყოფილებების ქვე-განყოფილებები.** აჭარის შრომის განყოფილებასთან არსებობს 6 განყოფილება: 1)საერთო მმართველობის. 2)საკონფლიქტო განყოფილება, 3) შრომის დაცვის, 4) შრომის ბირჟის, 5) შრომის ხარკის და 6) დამზღვევი კასა.

— **რეორგანიზაცია.** თანახმად პროფკავშირთა მე-3 კონფერენციის დადგენილებისა, აჭარის შრომის სახალხო კომისარი ამხ. ბლიუმზაკი და მისი მოადგილე ამხ. ღლონტი განთავისუფლებული იქნენ 1 იანვრიდან დაკისრებულ თანამდებობიდან.

— **გადაკეთება.** თანახმად განკარგულებისა ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის საქართველოში აჭარის შ. ს. კომისარიატი გადაკეთებული იქნა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის შრომის განყოფილებათ, რომლის გამგეთ დაინიშნა ამხ. ბარელიძე, ხოლო მის მოადგილეთ ამხ. აბრამოვი.

— **განყოფილების მუშაობა.** იანვრის განმავლობაში განყოფილებას ქონდა 6 სხდომა, რომელზედაც გაირჩა 7 საკითხი.

— **კოლექტიური ხელშეკრულებები.** იანვრის განმავლობაში რეგისტრაციაში გატარებული იქნა 18 კოლექტიური ხელშეკრულება.

— **ინვალიდები.** განყოფილების კმაყოფაზე იანვარში ირიცხებოდა 14 ინვალიდი, რომლებსაც ამავე ხნის განმავლობაში დაურიგდა უფასო პურის ბარათები.

— **კონფლიქტები.** იანვარში განყოფილების საკონფლიქტო ქვეგანყოფილებამ გაარჩია 10 კონფლიქტი

სახელმწიფო ხასიათის და 46 კონფლიქტი კერძო. ჯარიმის რაოდენობა უდრის 250,540,000 მან. ქართული ბონებით ჯარიმისაგან აგრეთვე შემოვიდა 378 თათ. ქაღ. ლირა და 7 პიასტრი.

— **უმუშევრები.** იანვრის განმავლობაში აღრიცხვაზე აყვანილნი იქნენ 1323 მამაკაცი და 578 დედაკაცი, საშუალოდ დღეში ირიცხებოდა 79 უმუშევარი. გაგზავნილი იქნა სამუშაოზე 119 მამკაცი და 27 ქალი.

— **საექსპორტო კომისია.** საექსპორტო კომისიის სხდომაზე გამოცხადდა 121 კაცი, ამათგან გამოცდა ჩააბარა 114 კაცმა.

— **უმუშევართა დაზღვევა.** იანვრის განმავლობაში შევსებული იქნა 144 საანკეტო ფურცელი, რომელთაგან უარი ეთქვა 22-ს. დაზღვეულთა შორის 81 კავშირის წევრია, 7 დემობილიზაციით განთავისუფლებული, 3 ახ. კომ. და 52 არა კავშირის წევრი.

— **დაწესებულებების დათვალიერება.** იანვრის განმავლობაში დათვალიერებული იქნა 64 დაწესებულებანი. შრომის დაცვის კანონების და ბრძანებების დარღვევისათვის დაჯარიმებული იქნა 10 პირი, ჯარიმის რაოდენობა აღემატება 70 მანეთს ოქროთი.

კრებები და მოხსენებები.

— **განათლების მუშაკთა სახლში.** სამშაბათს 27 თებ. საღამოს 6 ნახ. საათზე სომხური ენის ქვესექციის შესდგება ამხ. ლისიციანის მოხსენება. თემა: პრაქტიკული ჩვენებანი წერითი სამუშაოების საწარმოებლათ და მათი გასწორება. ოთხშაბათს 28 თებ. საღ. 7 ს. შეერთებული სხდომა: ისტორიული, ხატვის, ხელ-საქმის და გალობის ქვესექციათა. მომხსენებელია ამხ. ტერ-გუკასოვა, თემა: 47 შრომის სკოლაში ისტორიული დადგმა სცენის ძველ ეგვიპტის ცხოვრებიდან. ხუთშაბათს 1 მარტს საღ. 6 ს. ამხ. შიშკინის მოხსენება (დემონსტრატიული), ხუთშაბათს 1 მარტს ხელოვნების ქვესექციაში მოხსენებები ამხ. ბერის და ვართანოვასი. თემა: 1) ხელსაქმის კავშირი ხატვასთან, 2) ხელსაქმის მეთოდების კრიტიკა. ხუთშაბათს 1 მარტს, საღ. 5 ნახ. საათ. გალობის და მუსიკის მასწავლებელთა ქვესექციის სხდომა. კითხვები: 1) გაგრძელება სანოტო მეთოდის კრიტიკისა, 2) უფრო მისაღები მეთოდი შრომის სკოლაში ნოტების შესასწავლად. პარასკევს 2 მარტს, რუსული ენის ქვესექციის სხდომა. მეცადინეობა შემდეგ საკითხებზე: 1) ეპიტეტები თანამედროვე გაგებით, 2) ტურგენევის ეპიტეტები, 3) ეპიტეტების ვარჯიშობის დაყენება შრომის სკოლაში. საღამოს 7 ს. საუბარი თემაზე: „**თავისუფალი თხუზულება**“. შაბათს 3 მარტს საღ. 6 ს. პედაგოგიურ ქ | ს სხდომა მოხსენება ე. კონიევასი. თემა: „საბავშვო სურათი“ (ფსიქოლოგიური ანალიზის ცდა).

ხელოვნება

— **დავით გურამიშვილის საღამო.** ამ დღეებში კონსერვატორიაში გაიმართება დავით გურამიშვილის საღამო. გურამიშვილზე ქ. გამსახურდია წაიკითხავს მოხსენებას.

— **ქართული მუსიკის საღამო** კვირას, 4 მარტს, მე-2-ე კონსერვატორიაში ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოება ჰმართავს თავის პირველ კონცერტს—ქართული მუსიკის საღამოს. კონცერტის პროგრამმას შეადგენს ქართული ხალხური სიმღერები და ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოები. მონაწილეობენ ქართული მუსიკალური ახალგაზრდობის საუკეთესო ძალები და საზოგადოების სიმებიანი ორკესტრი. ბილეთები ამ თავითვე იყიდება მე-2-ე კონსერვატორიაში.

დღეს თეატრებში.

სახელმწიფო ოპერა—„დუბროვსკი“, რუსთაველის თეატრი—„ნიმუში“. სახალხო სახლი—„ცოდვა“. პატარა თეატრი—მეორე გასტროლი ძმ. ადელჰეიმების. 1-ლი საბჭოთა თეატრი—ქართული წარმოდგენა. პროფკავშირების საბჭოს კლუბი—კონცერტი. კინო-მინიონ—„სიკვდილის აზრი“. არფასტო—„სულთნის სულის სიყვარული“. კინო-სოლეილ—„მალჩი გრუსტ, მალჩი“. კინო სარკის—„სიკვდილის ბრჭყალებში“. კინო პალას—„კბილი კბილის წილ“..

პროფკავშირებში

ქიმიკოსთა კავშირში.

ქიმიკოსთა კავშირის ცენტრალურ გამგეობის სხდომაზე 21 თებერვალს ამხ. ავეტისოვმა თავის მოხსენებაში დამსწრეთ გააცნო კავშირის სამდივნოს მუშაობის შედეგები, თებერვლის პირველ ნახევრის განმავლობაში. ამ ხანში მოხდა არჩევნები 5 კომგამგეობისა და აგრეთვე კომისიებისა—კულტურულ განყოფილების და შემფასებელ კომისიის. სატარიფო დარგში მოწვეული იყო კონფერენცია შემფასებელ კომისიის წინადადებით, სადაც გაირჩა საკითხები ადგილებიდან, საინსტრუქციო მოხსენება საქონლის მანეთის და საკონფლიქტო ორგანოების შესახებ. კოლექტიური ხელშეკრულებანი დაიდო შემდეგ ქარხნებში: ჯაფარიძის ქარხანაში, ავჭალის შუშის ქარხანაში, „25 ოქტომბრის“ ასანთის ქარხანაში და „ქირომაზში“. ხელშეკრულების პირობების თანახმად, თვიურ შემოსავლიდან რამდენიმე პროცენტი გადარიცხული უნდა იყოს კულტფონდის სასარგებლოდ. ამხ. ავეტისოვის შემდეგ კულტმუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. არაქელოვმა. მომხსენებლის სიტყვით კულტგანყოფილებამ ამოირჩია მუშა-კორესპონდენტები 6 კაცისაგან. კავშირს საკუთარი კლუბები არა აქვს. ასანთის ქარხნის მუშებმა მეთამბაქოებთან დააარსეს კლუბი. ამ ჟამად მოქმედობს ოთხი სკოლა. უმუშევართა წევრებს, რიცხვით 59 კაცს, ეძლევა დახმარების სახით, მუშათა მთლიან კოოპერატივის საშუალებით ორი ფუთი და ათი გირვანქა პური უფასოდ ყოველდღიურად. პურის გარდა უფრო გაჭირვებულ წევრებს ეძლევათ დახმარება ფულითაც, 300,000—500,000 მანეთამდე. კულტკომისიის კონფერენციის მოწვევის შესახებ გამგეობამ დაადგინა მიენდოს ამხ. არაქელოვს და ბაბაჯანიანს შეიმუშავონ კონფერენციის მოსაწვევად საჭირო გეგმა და კონფერენცია მოწვეულ იქნეს 3 მარტისთვის.

პროფ. მუშათა კურსები.

ქიმიკოსთა კავშირის სამდივნოს დადგენილებით გადაწყდა ადგილკომების და ქარხკომების წევრთათვის დაარსდეს პროფესიონალური მუშათა კურსები. კურსები თავის მოქმედებას იწყებს 27 თებერვლიდან პროფსაბჭოს მცირე დარბაზში. ლექციების პროგრამით შედის კულტმუშაობა, შრომის დაცვა და სატარიფო საკითხები. სწავლა კურსებში იქნება კვირაში სამჯერ, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით საღ. 6—8 ს. ქარხკომების და ადგილკომების დასწრება ამ კურსებზე სავალდებულოა.

მედიკო-სანიტარულ კავშირში.

მედიკო-სანიტირულ კავშირის საქალაქო კონფერენციამ, რომელიც შესდგა თებერვლის 22-ს გამოიტანა შემდეგი დადგენილება: წითელ არმიის 5 წლის არსებობის აღსანიშნავად მედიკო სანიტარულ კავშირის წევრებმა თებერვლის ჯამაგირებიდან გადასდონ 2 პროცენტი წითელ არმიელთა საჩუქრების დასარიგებლად. კონფერენციის წინადადება ერთხმად იქნა მიღებული შემდეგ ამისა მოხსენება გააკეთა ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილების გამგემ ამხ. ვაცაძემ ჯანმრთელობის დარგში მუშაობის შესახებ.

კონფერენციამ მოიწონა განყოფილების მოქმედება და უსურვა მომავალში უფრო გაფართოვებულ იქნას მუშაობა სანიტარულ საქმეში. სრულიად აფთიაქართა ყრილობამ, რომელიც შესდგა თებერვლის 4, მოისმინა რა მოხსენება ყოფილ არამიანცის საავადმყოფოს აფთიაქის გამგის მოქალაქე ანტონოვის ბოროტ-მოქმედების ჩადენის შესახებ დაადგინა: დასჯილ იქნას მოქ. ანტონოვი პროლეტარიატის სამართლის სასტიკ სასჯელით იმ ბოროტ-მოქმედებისათვის, რომელიც უწარმოებია მას წამლების ფალსიფიკაციის (სიყალბის სახით). მოქ. ანტონოვს წამლების შეზავების დროს დაუკავია ბევრი საჭირო მასალა ვინაიდან ასეთ ბოროტმოქმედებას პროლეტარულ სახელმწიფოში არ უნდა ჰქონდეს ადგილი კრებამ ერთხმად მოითხოვა მისი დაუყოვნებლივი დასჯა და პასუხის გებაში მიცემა მოქალ. ანტონოვი უკვე გადაეცა სასამართლოს. სანიტარულ კავშირის კულტგანყოფილების მიერ უმუშევარ წევრთა სასარგებლოდ 3 მარტს გაიმართება საღამო-კონცერტი საინტერესო პროგრამით, საკონცერტო განყოფილებაში მოწვეულნი არიან მომღერლები: ინაშვილი, სარაჯიშვილი, პოპოვა, ბორონკინა და ლედნიკი (ვიოლოზე დამკვრელი).

— მედიკო-სანიტარულ კავშირმა სამხედრო-საავადმყოფოს გადასცა 112.121.000 მანეთი წითელ არმიის 5 წლის არსებობის აღსანიშნავად და პატივსაცემლად. ეს ფული მოხმარდება კულტურულ-განმანათლებელ საქმეს და წითელ არმიის ჯარის კაცთა ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

კომუნალურ მეურნეობის კავშირში.

კომუნალურ მეურნეობის კავშირის გაფართოებულ პლენუმმა თავის სხდომაზე დაადგინა: როგორც გამოირკვა პროვინციის განყოფილებების გამგეთა მოხსენებებიდან, კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა პროვინციებში ვერა ყოფილა სასურველ ნიადაგზე დაყენებული. ზოგიერთ ადგილას კულტურულ მუშაობას არც კი ეწევიან, ზოგან კი ძალიან მცირედ და სუსტად. ამის გამო პლენუმი აუცილებელ საჭიროებად სცნობს პროვინციის განყოფილებებს მჭიდრო კავშირი ჰქონდეს ცენტრთან, ეს უკანასკნელი კი გაუწევს ხელმძღვანელობას ინსტრუქციების დაგზავნის საშუალებით. საორგანიზაციო დარგშიც პროვინციას აქაც საქმე ვერ აქვს კარგად დაყენებული. საჭიროა სამაზრო-კომების და განყოფილების ამუშავება, რისთვისაც საჭიროა სავანგებოდ ცენტრიდან გაიგზავნონ მცოდნე პირები ამ საქმის ღირსეულ სიმაღლეზე დასაყენებლად. განსაკუთრებით საჭიროა პროვინციას აეხსნას და განემარტოს მუშათა ხელფასის ახალი ტარიფი, რომ თავიდან აცილებულ იქნას მოსალოდნელი გაუგებრობა. დასასრულს პლენუმმა მიაქცია რა დიდი ყურადღება გერმანიის ქარხკომების იმ მძიმე მდგომარეობას, რომელიც ამ ჟამად განიცდიან—დაადგინა მარტიდან კომუნალურ მეურნეობის კავშირის წევრებმა თავის ხელფასის შემოსავლიდან გერმანიის უმუშევარების სასარგებლოდ გადასდოს ნახევ. პროცენტი.

პროვინციაში

25 თებერვლის დღესასწაული პროვინციაში

ხ. წყნეთი

25 თებერვალს სოფ. წყნეთში შესდგა მთელი თემის მცხოვრებთა მიტინგი. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. ი. ფარესიშვილი, მდივნად ამხ. ა. დათეშიძე. პირველი მოხსენებით გამოვიდა ცენტრიდან მოსული ამხ. ანა დანელია, რომელსაც ვრცლად განმარტა 25 თებერვლის მნიშვნელობა. აგრეთვე წითელი არმიისა. თავმჯდომარე ი. ფარესიშვილმა ილაპარაკა თანამედროვე მომენტზე და ამხ. დათეშიძემ მიწის საკითხზე. მოხსენების შემდეგ მიტინგმა ერთხმად გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. დანელიასი საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების ორი წლის თავის და წითელი არმიის არსებობის 5 წლის თავის შესახებ, ვესალმებით მუშათა და გლეხთა ხელისუფლების 2 წლის თავს და უძლეველი წითელი არმიის 5 წლის თავს. ფიცსა ვსდებთ ჩვენი მუშურ-გლეხური მთავრობის დასაცავად ვიბრძოლოთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. ამ ორი წლის თავის აღსანიშნავად ვსდებთ ათ მილიონ მანეთს სოფელ წყნეთში ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გასახსნელად; 25 თებერვლის საღამო აღინიშნოს ხალხისათვის უფასო წარმოდგენით. ძირს ევროპის მილიტარიზმი, გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს, გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, რომელსაც მიჰყავს მთელი კაცობრიობა მსოფლიო ფედერაციისაკენ. დიდება და გამარჯვება რევოლიუციის უძლეველ დარაჯს—ჩვენს წითელ-არმიას.

კრების თავმჯდომარე
ი. ფარესიშვილი.

ახალი-სენაკი

ბანდიტების დახვრეტა

ბანდიტობა-ყაჩაღობა, ერთი უსაშინელესი მტერთაგანია მშრომელი ხალხის მშვიდობიანი ცხოვრების.

მშრომელ გლეხ-კაცობის ერთგულმა დარაჯმა საბჭოთა მთავრობამ თავიდანვე მიიღო შესაფერი ზომები ბანდიტობა-ყაჩაღობის სამუდამოდ ასალაგმავად—მათი სრული ლიკვიდაციის მოსახდენად.

ამ მიზნის მისაღწევად საბჭოთა მთავრობას ქონდა აღებული ორი ხაზი: 1) ყაჩაღებს გამოეცხადათ, რომ მათ მიეტევებათ ყოველ გვარი ძველი ბოროტ-მოქმედებანი, თუ კი ისინი მიატოვებენ ბოროტ-მოქმედების გზას და დაუბრუნდებიან მშვიდობიან მუშაობას; 2) საბჭოთა მთავრობამ დაანახვა ყაჩაღ-ბანდიტებს და საერთოდ ყველას, თავისი ნამდვილი ბუნება, დაანახვა, რომ ის, როგორც ერთგული დარაჯი მშრომელი მასის, არ დაერიდება მისი მტრების ასალაგმავად ისეთ საქმესაც კი, როგორიცაა დახვრეტა.

არა ერთი და ორი მაგალითი იყო დახვრეტის. კერძოთ სენაკის მაზრა-(ქ. ახ.-სენაკში) 1921 წლის აგვისტოს თვეში დახვრეტილ იქნა 9 ყაჩაღი, რაც, საბჭოთა ხელისუფლების აზრით, საკმარისი უნდა ყოფილიყო ყველასთვის, თუ როგორია საბჭოთა ხელისუფლების ბუნება.

ვის არ წაუკითხავს საქართველოს საგანგებო კომისიის განცხადება, რომლითაც ის მოუწოდებდა ყველა ბანდიტ-ყაჩაღებს, რათა ისინი დაბრუნებოდენ მშვიდობიან ცხოვრებას და მიეტოვებიათ მშრომელი ხალხის აწიოკება, მშვიდობიანი ცხოვრების დარღვევა; საგანგებო კომისია სდებდა სიტყვას, რომ ყველა ძველ ყაჩაღებს ეპატიება თავიანთი დანაშაული გასწორების შემთხვევაში.

1922 წლის 12 თებერვალს სენაკის მაზრის მუშათა და გლეხთა საბჭოების პირველ ყრილობის დღეს ამხ. საშა გეგეჭკორმა საჯაროდ აპატივა დანაშაული განთქმულ ყაჩაღ **ბერაიას**, რომელსაც ამის შემდეგ სრული უფლება მიეცა თავისუფალი მშვიდობიანი ცხოვრების, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ხსენებულ ბერაიამ ისევ ტყე-ღრეებში არჩია ცხოვრება და უფრო თამამად მიყო ხელი ცარცვა-გლეჯა-ავაზაკობას ზუგდიდ-სენაკის მაზრებში. მის „შაიკაში“ აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა აგრეთვე მეორე განთქმული „რაინდი“ **ხონელია**, რომელსაც იანვრის შუა რიცხვებში სენაკის მაზრის მილიციის (ამხ. ლადი მირცხულავას) ტყვიამ სოფ. ქვალონთან სამუდამოდ განუგმირა გული.

სენაკის სამაზრო აღმასკომს ჩაუვარდა ხელში 6 ყაჩაღი ქურდ-რეციდივისტი, რომელთაც აშკარად დაუმტკიცდათ ნამდვილი ბოროტ-მოქმედება მკვლელობა-გაძარცვის და გაქურდვის სახით, რომლის მაგალითი იყო არა ერთი და ორი. საქმე გადაეცა საქართველოს საგანგებო კომისიას, რომელმაც გადაუწყვიტა ყაჩაღებს უმაღლესი სასჯელი—**დახვრეტა**.

ა. წ. 16 თებერვალს ქ. სენაკში დახვრეტილ იქნენ შემდეგი ბანდიტები:

1. ხაჟომია გრიგოლი. 2. გუგუნავა ამირანი. 3. ხაჯალია მაქსიმე (იგივე ძაკა). 4. ხაჯალია გრიგოლი. 5. ფარცვანია ილარიონი და 6. ფარცვანია გრიგოლი.

პირველი ორი არიან ნიკოლოზის და მენშევიკების დროის ბანდიტები, რომელთაც საბჭოთა ხელისუფლების დროსაც ისურვეს „საგმირო“ საქმეების განგრძობა. ხოლო ოთხი უკანასკნელნი არიან ნიკოლოზის და მენშევიკების დროის ყაჩაღები და ქურდ-რეციდივისტები, რომელთაც არც საბჭოთა ხელისუფლების დროსაც დაანებეს თავი პარაზიტულ ცხოვრებას; მათ მიერ სისტემატიურად ხდებოდა დელეჟანების გაძარცვა ზუგდიდ-სენაკის გზაზე და ქ. სენაკში მაღაზიების გაქურდვა, მათ მიერ მოხდა 1922 წლის ზაფხულში იმერეთიდან სიმინდის შესაძენად ჩამოსულ საწყალი გლეხის მოკვლა ქ. სენაკის რკ. გზის სადგურის უკან გაძარცვის მიზნით და სხვა.

სენაკის სამაზრო აღმასკომის ბრძანება № 2, აშკარად აცხადებს ყველას საყურადღებოდ: „დეე, შეიგნონ ყველამ, რო ხალხის მოღალატეების წინააღმდეგ საბჭოთა მთავრობა არავითარ ზომებს არ დაერიდება და ყოველ ცალკე შემთხვევაში სხვისი ნაშრომით, ყაჩაღობა-ქურდობის წარმოებით ცხოვრების მოსურნე პიროვნებას ის მშრომელ ხალხს ჩამოაშორებს, დახვრეტს, გაანიავებს.

დეე! ძრწოდენ პროლეტარულ რისხვის მოლოდინში ყველა მუქთა-ხორეები, ქურდები, ყაჩაღები, შანტაჟისტები და სხვა!

იცოდენ მათ რომ მუშური მთავრობა სისხლით მოპოვებულ თავისუფლებას ძვირად აფასებს და ოდნავადაც არ შეყოყმანდება მოსპოს თავისი მოწინააღმდეგენი და სამუდამოდ გაანადგუროს იგი მუშურ-გლეხური მთავრობის ულმობელი შანთით“.

დიახ! ასეთია ბუნება მშრომელი ხალხის ერთგული დარაჯის—მუშურ-გლეხური ხელისუფლების!

დეე! გაიხსენოს ყველამ, ან აღადგინოს თავის შეცნაურებაში ის საზარელი სურათი, რომელსაც ადგილი ქონდა რამოდენიმე თვის წინ ქ. სენაკში ყაჩაღების მიერ ყოვლად უდანაშაულო გლეხის მოკვლით.

ამის შემდეგ, მხოლოდ ამის შემდეგ გადიტანონ თავიანთი წარმოდგენა პროლეტარიატის მახვილის მიერ განგმირულ ყაჩაღების სურათზე.

თუმცა ღრმაა ყაჩაღების წარმოშობის მიზეზები და საერთოდ მისი მოსპობა ობიექტიურ პირობებზეა დამოკიდებული, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებას სრული უფლება აქვს დაიცვას თავისი ქვეშევრდომნი—მშრომელი ხალხის მშვიდობიანი ცხოვრება.

ვ. ნადარეიშვილი.

წერილები რედაქციის მიმართ

1901 წლიდან ჩავეწერე რუს. სოც.-დემ. პარტიაში და შეძლებისადაგვარად ვმუშაობდი იქ 1912 წლამდი, ამის შემდეგ კი მე ამ პარტიას ჩამოვშორდი. მიზეზი იყო შემდეგი: მე, როგორც ქართველი მუშა, თვითმპყრობელურ დესპოტიზმის ხანაში კლასიურ ჩაგვრასთან ერთად მწვავეთ განვიცდიდი ეროვნულ ჩაგვრასაც, ამიტომ ჩემს რწმენაში კლასიურ თავისუფლების იდეას გადაეხლართა ეროვნული თავისუფლების იდეაც. ამ საკითხზე ს. დ. მოკლე და გარკვეული პასუხი ჰქონდა: ეროვნული საკითხიც გადაიჭრება მაშინ, როდესაც მუშათა კლასი ჩაიგდებს ძალა-უფლებას ხელში, მაგრამ საქმე იმაში იყო, რომ მუშათა კლასის განთავისუფლების პერსპექტივას ს. დ. „საუკუნით“ იმეორებდა. ამ გარემოებამ დამაახლოვა მე სოციალ-ფედერალისტების პარტიასთან სწორედ იმ დროს, როდესაც მას გამოეყო წმინდა თავად-აზნაურული ინტელიგენცია და დაარსდა პარტია ერ.-დემოკრატების. მე მივიჩნიე ს. ფ.-ბის პარტია ანტისოციალისტურ ელემენტებისაგან დაწმენდილათ და ქართველ მუშების კლასიურ და ეროვნულ თავისუფლებისათვის მებრძოლათ. მასში ჩაწერა გამიადვილდა. მაგრამ ჩემი იმედი არც აქ გამართლდა. თურმე პარტიის უმრავლესობა კვლავ ატარებდა ანტისოციალისტურ სახეს და სოციალისტის სახელი სარეკლამოთ სჭიროდა. ეს აშკარათ გამომჟღავნა ჯერ რუსეთში მომხდარმა პროლეტარულმა რევოლიუციამ, შემდეგ-კი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ. მიუხედავათ იმისა, რომ ისინი სიტყვით ბევრ რამეს უკიჟინებდენ მენშევიკებს ტაქტიკურ კითხვებში, სწორეთ მათ შეაქციეს ზურგი სოციალიზმს მომხდარ სოციალურ რევოლიუციის ხანაში და დაიწყეს მენშევიზმის რეაქციონური გზით ხეტიალი. ამიტომ, თუმცა გვიან, მაგრამ მაინც შევნიშნე, ჯერ კიდევ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდი, ზემო აღნიშნულ პარტიების მშრომელი ხალხისადმი ღალატი და დავშორდი მათ. რომ არ გამემეორებინა კვლავ შეცდომა, ორი წლის განმავლობაში ვადევნებდი თვალყურს კომუნისტურ პარტიის მოღვაწეობას. მან პრაქტიკაში განხორციელებულ ფაქტებით დამარწმუნა, რომ მშრომელი ხალხის ერთად-ერთი ერთგული მეგობარი მხოლოდ კომუნისტური პარტია არის. ამიტომ, ვიზიარებ რა მის პროგრამის ყველა დებულებებს, მზათა ვარ ჩემი უკანასკნელი ძალა შევუერთო ამ პარტიას მშრომელი ხალხის საბოლოო განთავისუფლებისათვის.

მუშა ვანო ბალიაშვილი.

—

მოქ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენ გაზეთში დაუთმოთ ადგილი ჩემს განცხადებას იმის შესახებ, რომ ვსწყვეტ ყოველივე კავშირს მენშევიკურ პარტიასთან, რომლის წევრი ვიყავი.

გერასიმე გ. ზაქარეიშვილი.
საჭამიასერი, ოზურგეთის მაზრა.

ჩვენი ფოსტა

ტყიბული. ამხ. იაგოს. კორესპონდენციები მოგვაწოდეთ რეგულიარულად.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 7.

ა|კ. შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა საქართველოში.

პროფესიონალურ, პოლიტიკურ, საბჭოთა, კოოპერატივთა, სამეურნეო ორგანიზაციათა და დაწესებულებათა პასუხისმგებელ მუშაკთა შრომის ჯილდოს შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს გასულ წლის 1 ოქტომბრის, № 58 დადგენილების განსავითარებლად და ა|კ. შრომის სახ. კომ. დადგენილებათა იმავე წლის 29 აგვისტოდან და ამა წლის 16 თებერვლის № 34, აღსასრულებლად, ამ|კავ შ. ს. კ. რწმუნებული საქართველოში ადგენს:

1. პასუხისმგებელ მუშაკებად ითვლებიან: პროფესიონალურ, პოლიტიკურ, კოოპერატიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოთა ის მუშაკნი, რომლებიც იღებენ პასუხისმგებელ მონაწილეობას პროფესიონალურ, პოლიტიკურ, კოოპერატიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოთა საალმშენებლო საქმეში, და პასუხისმგებელი არიან არა მარტო მათდამი დავალებულ საქმის ტეხნიკურ აღსრულებაში, არამედ პასუხს აგებენ იდეურ და პოლიტიკურ მიმართულებაში და მათდამი დაკისრებულ ფუნქციათა აღსრულებაშიაც.

2. დაწესებულ იქმნეს პასუხისმგებელ მუშაკთა შრომის ჯილდოთ, საშუალო განაკვეთი ს. პ. კავ ძირითადი სამრეწველო დარგებში ყველაზედ უფრო ხელსაყრელ პირობებში დადებულ კოლექტიურ ხელშეკრულებათა მიხედვით.

შენიშვნა. საშუალო სატარიფო განაკვეთად უნდა ჩაითვალოს 1 ხარისხის განაკვეთი 17 ხარისხოვან სატარიფო ცხრილისა, არითმეტიკულად გამონაგარიშებული იმ ხუთ კოლექტიურ ხელშეკრულებათა მიხედვით, რომლებიც დადებულია ს. ს. ს. რ. ს მ-თო, ლითონი, ქიმიურ, თამბაქოს და ტყავეულის მრეწველობაში და შეფარდება სატარიფო ცხრილში რჩება 1 : 5.

3 რესპუბლიკის პროვინციის პასუხისმგებელ მუშაკთათვის, განაკვეთი, ამ. 2 პუნ. ნახსენები, შესაფერისად დაწეულ უნდა იქნეს ა|კ. შრ. სახ. კომ. რწმუნებულის მიერ დაწესებულ სატარიფო ზოლების მიხედვით.

4. ამა დადგენილების მე-2-ე პუნ. ნახსენებ სატარიფო განაკვეთს პასუხისმგებელ მუშაკთათვის განსაზღვრავს ს. ს. ს. რ. ა|კ. შ. ს. კ. რწმუნებული ს. პ. კ. ს. შეთანხმებით, და ამა განაკვეთის გადასინჯვა უნდა ხდებოდეს არა ნაკლებ 3 თვისა. დაწესებული განაკვეთი გამოცხადდება ა|კ. შ. ს. კ. რწმუნებულის მიერ ხელმოწერილი.

5. იმ პასუხისმგებელ მუშაკთათვის, რომელნიც, თავის თანამდებობის მიხედვით, არა სამსახურის დროს, ასრულებს სხვა და სხვა სამუშაოს, რომელიც არ აღირიცხება, დაწესებულ იქნეს ზედმეტი დამატება 50 პროც. მათ ძირითად ჯამაგირზედ, ამა ცხრილის სანიმუშო მიხედვით.

მე-10-ე ხარისხისათვის	10	პროც.
„ 11-ე „	15	„
„ 12-ე „	20	„
„ 13-ე „	25	„
„ 14-ე „	30	„
„ 15-ე „	40	„
„ 16-ე „	45	„
„ 17-ე „	50	„

6. დაწესებულების სახელმძღვანელო ორგანოს ეძლევა უფლება-ცალკე მომუშავეთათვის მე-5 პუნ. ნახსენებ პროც. დამატება-დაკლებისა, მუშაობისაგან დატვირთვისა და სამუშაოს ხასიათის მიხედვით, მაგრამ ისე-კი, რომ ეს პროც. არ აღემატებოდეს 50 პროც. მის ძირითადი ჯამაგირისა.

7. ფასიანი შეთავსება და აგრეთვე სხვაგვარი დამატებითი ფასი, გარდა სალიტერატურო ნაწარმოებისათვის ჰონორარისა და სწავლების ფასისა, ყველა იმ პირთათვის, რომელნიც იღებენ დამატებას—არ დაიშვება.

8. საგზაო, მივლინებისა და სხვა გვარი ფული პასუხისმგებელ მუშაკთათვის სწარმოებს საერთო წესისამებრ.

9. პასუხისმგებელ მუშაკთა სატარიფო ხარისხებად დანაწილება ხდება წარმოება-დაწესებულების სახელმძღვანელო ორგანოთა მიერ, რომელნიც ვალდებული არიან ამ შემთხვევაში იხელმძღვანელონ მხოლოდ ა|კ. შ. ს. კ. ს. რწმუნებულის და ს. პ. კ. ს. დებულებით.

10. დადგენილება ესე შედის ძალაში 1923 წ. 1-ლ თებერვლიდან.

ა|კ. შრომის სახ. კომ. რწმუნებული
საქართველოში ა. იაშვილი.
საერთო-საორგან. ზ. განყოფილების
გამგე—ლ. ქურდოვანიძე.

განცხადებები

ღრმად დამწუხარებულნი დედა ლიდია კონსტანტინეს ასული და მამა კონსტანტინე პეტრეს ძე ბოჯგუა აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს უდროოდ დაკარგვას მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი პატარა ვაჟის

ვახტანგის (ხუტუტა)

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე (რეუტოვის ქ. № 31). გამოსვენება ხუთშაბათს 1 მარტს დღის 4 საათზე. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე. (203—2—1)

სახელმწიფო ოპერა
დღეს, 28 თებერვალს,
დუბროვსკი
დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.
კრ. 222—1—1

სავალდებულო დადგენილება

ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის № 3

ქუჩებისა და მოედნების სუფთად შენახვის შესახებ

27 თებერვალი 1923 წ.

1. ქუჩების, მოედნების, ქვაფენილების მოსაზღვრე კერძო პირების სახლებთან, ეზოებთან და სხვა და სხვა უწყებათა ნაშენთან სათანადო სისუფთავით შენახვა ევალება მართველებს, მოიჯარადრებს და მფლობელებს ამა სახლებისას და ალაგებისას, და თუ ასეთები ხალხს არა ჰყავს, მას ასრულებს მობინადრენი სახლისა საბჭოთა და მუშათა სახლებში კი კომენდანტები.

2. ქუჩები უნდა დაიწმინდოს შუამდის, მოედნები კი არა უმეტეს 8 საჟენისა მფლობელის ხაზიდან. სივრცე 8 საჟენის გარეთ სუფთავდება აღმასკომის საშვალებით.

3 მოედნების, სადაც არსებობენ ბაზრები, ვაჭრობის დამთავრების შემდეგ, ნაგვისაგან გაწმენდა სწარმოებს აღმასკომის საშვალებით, 8 საჟენის საზღვრებშითაც.

4. ქუჩების და მოედნების გაწმენდა-გასუფთავება უნდა სწარმოებდეს არა უფრო ადრე ღამის 12 საათისა და არა უგვიანეს დილის 8 საათისა (ზაფხულში დილის 7 საათის) მასზედ ჩვეულებრივ მოძრაობის დაწყებამდის;

ნაგვის შეკრეფა კი მეეზოვეებს ევალება მთელი დღის განმავლობაში.

5. ნაგავი, ტალახი და თოვლი უნდა გროვდებოდეს ქუჩებში სახლის წინ პატარ-პატარა გუნდებად, და იმ წუთშივე უნდა გატანილ იქნას ამისთვის მიჩენილ სანაგვე ალაგებზედ, ან და შეტანილ უნდა იქნას ეზოებში, სანაგვე ყუთებში, რომლებიც უნდა სუფთავდებოდეს როგორც კი ნაგავი თავს მოიყრის.

6. ვალდებულება ქუჩების გაწმენდისა არ არის დამოკიდებული მისი ზედაპირის მოწყობილებისა.

7. აკრძალულია გადმოყრა უსუფთაოებისა, ნაგვისა და გადმოღვრა უსუფთაო წყლისა ქუჩებში და ქუჩის საკანალიზაციო გისოსებში (რეშოტკებში) და აგრეთვე გაბერტყვა ქუჩებში ტანისამოსისა, ნოხებისა და სხვა ამგვარი საგნებისა.

8. აკრძალულია მტკვარში ხიდებიდან გადაყრა უსუფთაოებისა და ნაგვისა.

9. აკრძალულია ნაგვის ღელეებსა, ხევებში და თავისუფალ ადგილებზე გადაყრა

10. სანაგვე ადგილები:

1. მტკვრის მარჯვენა ნაპირზედ ვერის ხიდის ქვევით ა) საინჟინერო დაღმართი ბ) ანჩისხატის დაღმართი ვ)საზამთრო მოედნის ქვევით.

2. მტკვრის მარცხენა ნაპირზედ:

ა) შერემეტიევის ბ) მუშტაიდის ვ) სემიონოვის გ) თივის დ) გოგილოს ე) ვარვარინის ჟ) პრიბილევის.

3. პრიბილევის ქ. ქვევით.

1. ნადიროვკაში ხევში სომხების სემინარიასთან.

11. დადგენილება ესე ძალაში შედის დღეიდან გამოცხადებისამებრ.

12. დამრღვევი ამა დადგენილების რომელიმე პუნქტისა დაისჯება დაჯარიმებით 3 მანეთიდან 25 მანეთამდე ოქროთი, ან და დაპატიმრებული იქნება ადმინისტრატიულ წესით.

ქალაქის მილიციას ევალება თვალ-ყური ადევნოს ამ დადგენილების ცხოვრებაში სათანადო გატარებას.

აღმასკომის თავმჯდომარე—**სუხიშვილი.**
(კომ. განყ. გამგე)
მდივანი—**ლ. თიკანაძე.**

ქ. ტფილისის მე-10 რაიონის სახ. მოსამართლე

იწვევს ანა ერმილეს ასულის სამოდუროვას სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონების მემკვიდრეებს თავისი უფლებების გასაცხადებლათ, ამის გამოქვეყნების დღიდან ორი თვის ვადაში.

(209—1—1) სახალხო მოსამართლე.

ა. კ. ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში

ამით აცხადებს

საყოველთაოდ, რომ, თანახმად საქართველოს კომ თა საბჭოს 28 დეკემბრის თარიღით და მე-16-ე ნომ გამოცემულ დეკრეტის მე-8-ე მუხლისა, იპოტეკურ ბან დაგირავებულ სახლების ვალის გასაქრობათ შესატან ხებისათვის, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში, ო მანეთის კურსად

დაწესებულია

300.000 მანეთი ამიერ-კავკასიის ფ ლის ნიშნებით.

ა. კ. ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში ბ. ბიბინეიშვ
(223—1—1)

საქ. კომპარტიის ცენტრ. კომიტეტის საა გიტაცი საპროპაგანდო

განყოფილებამ

გამოსცა და იყიდება ამავე განყოფილების ექსპედიციაში (რუსთ. პრ. შემდეგი ლიტერატურა ქართულ ენაზე:

1. **ბოგდანოვის**—მოკლე კურსი ეკონომიურ მოძღვრებათა
2. **ბოგდანოვის**—დაწყებითი კურსი პოლიტ. ეკონომიისა
3. **ტროცკი**—იმპერიალიზმისა და რევოლიუციის შუა
4. **კ. მარქსი**—საქირაო შრომა და კაპიტალი
5. **ბლონინა**—მუშა-ქალი ინტერნაციონალში
6. **სტეპანოვი**—ნარკვევი რელიგიურ რწმენის განვითარებიდან
7. **სასნოვსკი**—რასეია
8. **ბუხარინი**—სკოლა და ეკლესია საბჭოთა რესპუბლიკებში
9. **ნევსკი**—დღესასწაულები ქრისტიანული და მუშურ-გლეხური
10. ჟურნალი—კომუნიზმის დროშა № 1.
11. ჟურნალი—კომუნიზმის დროშა № 2—3.
12. **ტროცკი**—ოქტომბრის რევოლიუცია
13. **ჩიჩერინი**—ნარკვევი ახალგაზრდათა ინტერნაციონალის ისტ.
14. **ლილინა**—კომუნისტური ოჯახიდან კომუნისტურ საზოგად.
15. **ზინოვიევი**—მე-3 კომინტერნი
16. **ბატურინი**—ნარკვევი ს. დ. ისტორიისა რუსეთში.
17. **სტეკლოვი**—ისტორია მუშათა მოძრაობისა
18. **პავლოვი**—წარმოშობა მუშა კლ. რუსეთში და მისი პირვ. ნაბიჯ.
19. „ ქვეყნიერების გაჩენა განვითარება
20. „ წესდება რუსეთის კომუნისტურ პარტიისა.
21. **წულუკიძე**—ნაწყვეტები პოლიტიკურ ეკონომიიდან
22. **მახარაძე**—მენშევიკური პარტიის დიქტატურა საქართველოში.

აღნიშნული ლიტერატურა შეუძლიან შეიძინოს ყველა პარტიულ ფესიონალურ, სამხედრო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს 30 პრო დათმობით.

საქ. კომპარტიის სააგიტ.-საპროპ. განყ. ექსპედიცი
(კრ. 216 3-

იყიდება კარგათ მორთული
სახლი
თავისუფალი ბინებით. ვისაც სურს ხელსაყრელად იყიდოს და გ დოს, უნდა მიმართოს მამა-დავითის ქუჩაზე № 3, ბინა 2, 11—2 5—7 საათამდე.
(190—10—3)

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთ ექიმობას საჭიროებენ.
საავადმყოფო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელ ნელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (733—25

დოკტორი მედიცინისა ბერლინის უნივერსიტეტის
გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყ. ფილტვების—ჰლექი და გულის—სპეციალური მალარიისა შეშხაპუნება 914 რენტგენის სინათლის—ელექტრონის კაბინეთი.
იღებს 9—12 საათ.—დღის და 5—7 ს. საღ.
ბებუთოვის ქუჩა № 23. (684—25

მე-2 საკონსულტაციო-საექიმო კაბინეტი
მედიცინის დოქტორის
ვ. ვ. შენგელიძესი და ექიმი ვ. გ. მეუნარგი
მიიღებიან ბავშვები ყოველგვარი რჩევა-დარიგებისათვის.
ყოველ დღე გარდა უქმეებისა საღამოს 5—6 საათამდე ბე № 22 ტელეფ. 1—44. (77—25—1

დაიკარგა 6 კომისარიატის მიერ ოვანეს ნავასარდოვ ზე გაცემული სარეგისტრაციო ბარათი. ჩაით გაუქმებულად. (191—

დაიკარგა პასპორტი გაცემული მარიამ მამიკონიანც ზე № 11193—13 მაისი 1922 წ. ჩაითვალ მებულად. (201—

დაიკარგა უმუშევრის ბილეთი № 376 შრომის ბირჟ ცემული ალექსანდრე ტარასის ძე კამკამიძ ზე, ჩაითვალოს გაუქმებულად. (202—

დაიკარგა პასპორტი რაჭის მაზრიდან პატარა ონის დოებიდან მოცემული, სოლომან ნიკოს ძე შვილის სახელობაზე, ჩაითვალოს გაუქმებულად. (204—

დაიკარგა პასპორტი რაჭის მაზრიდან პატარა ონის დოებიდან მოცემული, სერგო მათეს ძე მე სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად. (205—

დაიკარგა ქორწინების მოწმობა ეკატერინე პეტრო ხელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად. (20

დაიკარგა უვადო პასპორტის წიგნაკი იოსებ დავით ციანოვის და მისი ცოლის ვილგელმინა ასულის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად. (206

დაიკარგა ბილეთი, გაცემული 1918 წ. უკრაინის მ დიმიტრი სიმონის ძე სტეპანოვის სახელზ ლოს გაუქმებულად. (208—

დაიკარგა იანკელ ზამას სახელზე გაცემული პასპორ ვალოს გაუქმებულად. (210—

ტირაჟი 10,000 ნ. ს. დ ც

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა კრონზენშტეინის ქ № 4